

**სს “ლიბერთი ბანკი” (ყოფილი სს
“საქართველოს სახალხო ბანკი”) და
შვილობილი კომპანიები**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის*

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თარგმანს ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტიდან

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	6
2. შედგენის საფუძველი.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები.....	23
5. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ.....	25
6. ფული და ფულადი ექვივალენტები.....	27
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	27
8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები.....	27
9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	29
10. ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში	30
11. საინვესტიციო ქონება	30
12. ძირითადი საშუალებები	31
13. არამატერიალური აქტივები.....	32
14. გადასახადები.....	33
15. სხვა აქტივები და სხვა ვალდებულებები	35
16. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	36
17. ვალდებულებები მენაბრეთა წინაშე	37
18. კაპიტალი.....	37
19. პირობითი ვალდებულებები.....	39
20. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	40
21. წმინდა მოგება / (ზარალი) შვილობილი კომპანიების რეალიზაციიდან	41
22. სხვა შემოსავლები.....	41
23. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი, საერთო და ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	41
24. რისკების მართვა.....	42
25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები	50
26. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი.....	51
27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	52
28. კაპიტალის ადეკვატურობა	53
29. მოვლენები ანგარიშგების თარიღის შემდგომ.....	54

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს ლიბერთი ბანკი-ს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს ლიბერთი ბანკი-ს და მისი შვილობილი კომპანიების თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კერძოდ კი 2009 წლის 31 დეკემბრით არსებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების, მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასეთი პასუხისმგებლობა გულისხმობს: უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და ისეთი სააღრიცხვო შეფასებების შემუშავებას, რომლებიც მისაღებია კონკრეტული ვითარებისთვის.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას, აგრეთვე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას გარანტია, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამოიხატება მტკიცებულების მოპოვებაზე ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე. მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიეთ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშაოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე. სხვებზე პროცედურები გულისხმობს ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შეფასებას. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემოწმებას, ისევე როგორც მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული რწმუნება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნის წარდგენისათვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სს ლიბერთი ბანკი-ს და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	2009	2008 (განმეორებით წარმოდგენილი)	2007 (განმეორებით წარმოდგენილი)
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	98,818	51,160	33,988
მოთხოვნა საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	14,423	9,638	18,246
კლიენტებზე გაცემული სესხები	8	82,752	109,286	113,592
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:				
- გასაყიდად არსებული	9	2,260	7,902	881
- დაფარვის ვადამდე ფლობილი		1,995	-	-
ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში	10	788	893	789
საინვესტიციო ქონება	11	20,184	-	-
ძირითადი საშუალებები	12	80,145	101,283	93,484
არამატერიალური აქტივები	13	4,560	3,540	2,762
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები	14	630	630	636
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	14	1,313	1,240	-
წინასწარი გადახდები		6,275	17,201	3,969
სხვა აქტივები	15	6,897	16,282	14,345
		321,040	319,055	282,692
სულ აქტივები				
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	16	54,606	82,161	2,977
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	17	246,638	181,540	200,887
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	14	82	1,439	1,294
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	14	-	-	8,042
სხვა ვალდებულებები	15	10,490	39,407	9,152
სულ ვალდებულებები		311,816	304,547	222,352
კაპიტალი	18			
საწესდებო კაპიტალი		15,721	15,721	15,521
საემისიო კაპიტალი		8,529	8,437	8,200
სახაზინო აქციები		(347)	(355)	(500)
აკუმულირებული ზარალი		(38,036)	(45,347)	(560)
სხვა რეზერვები		23,357	36,078	37,499
ბანკის აქციონერების მთლიანი კაპიტალი		9,224	14,534	60,160
უმცირესობის წილი		-	(26)	180
სულ კაპიტალი		9,224	14,508	60,340
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		321,040	319,055	282,692

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ:

ვლადიმერ გურგენიძე 

აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი

ზურაბ წულაია 

ფინანსური დირექტორი

30 ივნისი 2010

თანდართული შენიშვნები გვ. 6-54 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	2009	2008 <i>(განმეორებით წარმოდგენილი)</i>
საპროცენტო შემოსავალი			
კლიენტებზე გაცემული სესხები		23,826	31,642
მოთხოვნა საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		275	480
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		4	7
		24,105	32,129
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე		(10,750)	(9,870)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(9,065)	(6,798)
სხვა		(104)	-
		(19,919)	(16,668)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		4,186	15,461
კლიენტებზე გაცემული სესხების წმინდა გაუფასურების ხარჯი	7, 8	(16,766)	(27,864)
წმინდა საპროცენტო ხარჯი სესხის გაუფასურების დარიცხვის შემდეგ		(12,580)	(12,403)
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	20	29,774	28,279
საეჭრო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა მოგება		-	176
შვილობილი კომპანიების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა მოგება	21	14,124	-
წმინდა მოგება უცხოური ვალუტიდან:			
- ვაჭრობიდან		3,324	3,517
- საკურსო სხვაობებიდან		110	(3,067)
მოკავშირე საწარმოების (ზარალის) / მოგების წილი	10	(105)	104
სხვა შემოსავალი	22	3,850	11,991
არასაპროცენტო შემოსავალი		51,077	41,000
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი	23	(20,206)	(35,151)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23	(14,822)	(16,955)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	12, 13	(6,906)	(4,945)
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(615)	(20,738)
სხვა გაუფასურება და რეზერვები	15	(2,295)	(5,256)
არასაპროცენტო ხარჯი		(44,844)	(83,045)
ზარალი მოგების გადასახადის სარგებლამდე		(6,347)	(54,448)
მოგების გადასახადის სარგებელი	14	899	8,705
წლის წმინდა ზარალი		(5,448)	(45,743)
განკუთვნილი:			
- ჯგუფის აქციონერებისთვის		(5,448)	(45,537)
- უმცირესობის წილისადმი		-	(206)
		(5,448)	(45,743)
ზარალი ერთ აქტიაზე:			
- ბაზისური	18	(0.004)	(0.030)

თანდართული შენიშვნები გვ. 6-54 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	2009	2008 <i>(განმეორებით წარმოდგენილი)</i>
წლის წმინდა ზარალი		(5,448)	(45,743)
სრული მოგება-ზარალის სხვა მუხლები:			
არარეალიზებული მოგება გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდებიდან		178	317
გასაყიდად არსებულ ფასიან ქაღალდებზე მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გადატანილი რეალიზებული ზარალი		-	(176)
შენობა-ნაგებობების გადაფასება		(113)	(930)
სრული მოგება-ზარალის სხვა მოგებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	14	(27)	118
სრული მოგება-ზარალის წლის წმინდა სხვა მოგება/(ზარალი), მოგების გადასახადის გამოკეტივის შემდგომ		38	(671)
წლის სრული წმინდა ზარალი		(5,410)	(46,414)
განკუთვნილი:			
- ჯგუფის აქციონერებისთვის		(5,410)	(46,208)
- უმცირესობის წილისადმი		-	(206)
		(5,410)	(46,414)

თანდართული შენიშვნები გვ. 6-54 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	ჯგუფის აქციონერებისათვის განკუთვნილი						უმცირესობის წილი	სულ კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სახაზინო აქციები	აკუმულირებული ზარალი	სხვა რეზერვები	ჯამი		
31 დეკემბერი, 2007 წელი განმეორებითი წარმოდგენა (შენიშვნა 2)	15,521	8,200	(500)	(234)	37,499	60,486	180	60,666
31 დეკემბერი, 2007 წელი (დამატებით წარმოდგენილი)	-	-	-	(326)	-	(326)	-	(326)
წლის ზარალი	15,521	8,200	(500)	(560)	37,499	60,160	180	60,340
წლის სრული მოგება-ზარალის სხვა ზარალი	-	-	-	(45,537)	-	(45,537)	(206)	(45,743)
წლის სრული წმინდა ზარალი (დამატებით წარმოდგენილი)	-	-	-	-	(671)	(671)	-	(671)
გადაფასების რეზერვის ცვეთა (შენიშვნა 18)	-	-	-	(45,537)	(671)	(46,208)	(206)	(46,414)
საწესდებო კაპიტალის ზრდა საემისიო კაპიტალის კაპიტალიზაციის შედეგად (შენიშვნა 18)	-	-	-	750	(750)	-	-	-
სახაზინო აქციების გაყიდვა (შენიშვნა 18)	200	(200)	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2008 წელი (დამატებით წარმოდგენილი)	-	437	145	-	-	582	-	582
წლის სრული წმინდა ზარალი გადაფასების რეზერვის ცვეთა (შენიშვნა 18)	15,721	8,437	(355)	(45,347)	36,078	14,534	(26)	14,508
საინვესტიციო ქონების გადაფასების რეზერვის გადანაწილება (შენიშვნა 18)	-	-	-	(5,448)	38	(5,410)	-	(5,410)
შვილობილი კომპანიების გაყიდვის შედეგად უმცირესობის წილის რეალიზაცია	-	-	-	483	(483)	-	-	-
სახაზინო აქციების გაყიდვა (შენიშვნა 18)	-	-	-	12,276	(12,276)	-	-	-
31 დეკემბერი, 2009 წელი	-	-	-	-	-	-	26	26
31 დეკემბერი, 2009 წელი	-	92	8	-	-	100	-	100
31 დეკემბერი, 2009 წელი	15,721	8,529	(347)	(38,036)	23,357	9,224	-	9,224

თანდართული შენიშვნები გვ. 6-54 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	<i>2009</i>	<i>2008 (დამატებით წარმოდგენილი)</i>
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		24,898	29,667
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(21,772)	(15,151)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი		31,278	29,419
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი		(1,978)	(1,340)
უცხოური ვალუტის ვაჭრობიდან წმინდა რეალიზებული მოგება		3,324	3,517
გაუფასურებული აქტივების აღდგენა	8,15	1,235	11
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		3,850	9,731
გადახდილი პერსონალის ხარჯი		(20,041)	(35,836)
გადახდილი საერთო და ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(10,848)	(15,300)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებისა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		9,946	4,718
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(10,955)	(2,027)
კლიენტებზე გაცემული სესხები		10,315	(8,752)
სხვა აქტივები		(2,240)	(15,027)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(26,834)	78,128
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე		66,230	(21,470)
სხვა ვალდებულებები		2,312	18,581
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან (საოპერაციო საქმიანობაში) მოგების გადასახადში ცვლილებებამდე		48,774	54,151
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(292)
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან (საოპერაციო საქმიანობაში)		48,774	53,859
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(11,049)	(27,168)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		384	647
შვილობილი კომპანიების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		10,201	-
გასაყიდად არსებული ინვესტიციების შექმნა		(862)	(7,681)
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა (საინვესტიციო საქმიანობაში) საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,326)	(34,202)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან			
სახაზინო აქციების გაყიდვა		8	145
საემისიო კაპიტალის ზრდა		92	437
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა (საფინანსო საქმიანობაში) საფინანსო საქმიანობიდან		100	582
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		110	(3,067)
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა		47,658	17,172
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	6	51,160	33,988
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	6	98,818	51,160

თანდართული შენიშვნები გვ. 6-54 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

(ათასი ლარი)

1. ძირითადი საქმიანობა

სს ლიბერთი ბანკი (შემდეგში მოხსენიებული როგორც “ბანკი”), ცნობილი როგორც სს საქართველოს სახალხო ბანკი, არის ყოფილი სახელმწიფო ბანკის აგრძელებული საფუძველზე ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება. 1993 წლის 14 აპრილით დათარიღებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №288-ს და 1994 წლის 28 მაისით დათარიღებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბანკებისა და საწარმოების ორგანიზაციული ფორმა გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. ბანკი საქმიანობას ანხორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდეგში მოხსენიებული როგორც “სეზ”), საქართველოს ცენტრალური ბანკი, მიერ 1993 წლის 10 თებერვალს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე. ასევე უცხოურ ვალუტაში საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ლიცენზიების საფუძველზე.

ბანკი იღებს დეპოზიტებს მოსახლეობისგან და გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს სავალუტო გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და ინდივიდუალურ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საბროკერო მომსახურებებს. მისი სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში და აქვს 184 (2008: 182) ფილიალი და სერვის ცენტრი, რომლებიც საქმიანობას ანხორციელებენ საქართველოში. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, 0162 თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74.

2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები ფლობდნენ მიმოქცევაში გაშვებული აქციების 1%-ზე მეტს. დანარჩენი აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ მიმოქცევაში გაშვებული აქციების 1%-ზე ნაკლებს.

	2009	2008
<i>აქციონერი</i>	<i>ფლობის წილი, %</i>	<i>ფლობის წილი, %</i>
შპს ლიბერთი კაპიტალი	91%	–
ჯინჯარაძე ირინა	–	25%
Starcode Resources LLC (გაერთიანებული სამეფო)	–	20%
კოვალენკო ლენა	–	20%
აგურევა ანა	–	7%
მარშანია თამარ	–	6%
მარშანია გაიოზ	–	1%
სხვა აქციონერები (ინდივიდუალურად ფლობენ 1%-ზე ნაკლებს)	9%	21%
ჯამი	100%	100%

ბანკი მშობელია კომპანიათა ჯგუფისა, რომელთა კონსოლიდაცია ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფი შედგება საწარმოებისგან:

დასახელება	ქვეყანა, სადაც კომპანია დაარსდა	ჯგუფის ფლობის წილი		დაარსების თარიღი	საქმიანობის სახე
		2009	2008		
შპს ლიბერთი სიქიურითიზ	საქართველო	100%	–	2 სექტემბერი, 2009	ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა/დილერი
შპს საქართველოს სახალხო ფოსტა	საქართველო	100%	–	5 იანვარი, 2009	საფოსტო მომსახურება
შპს რიალ მენეჯმენტ კომპანია	საქართველო	100%	–	27 აპრილი, 2009	უძრავი ქონება
LLC Bus Stop	საქართველო	100%	–	27 აგვისტო, 2009	რეკლამა
შპს საქალაქმშენპროექტი	საქართველო	100%	–	4 სექტემბერი, 2009	უძრავი ქონება
შპს რუსთავის ცენტრალური საღარო	საქართველო	100%	100%	2004	არ არის აქტიური
შპს რიალ ისთით დიველოპმენტ	საქართველო	(ა)	100%		უძრავი ქონება
შპს სახალხო ფოსტა	საქართველო	(ა)	100%		საფოსტო მომსახურება
შპს ფაბლიქ ინვესტმენტ მენეჯმენტ	საქართველო	(ა)	100%		საბროკერო საქმიანობა არქიტექტურული მომსახურება და
სს საქალაქმშენპროექტი	საქართველო	(ა)	98%		გაქირავება
შპს სოციალური სახლი	საქართველო	(ა)	100%		სამედიცინო მომსახურება
სს სადაზღვევო კომპანია სახალხო დაზრვევა	საქართველო	(ა)	100%		დაზღვევა

(ა) 2009 წელში გაყიდვის გამო აღარ წარმოადგენს ჯგუფის შვილობილ კომპანიას.

ჯგუფს საერთო ჯამში მართავს რუმინეთის მოქალაქე, დინუ პატრისიუ.

(ათასი ლარი)

2. შედეგების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე (შემდგომში, როგორც “ბასსს”) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მოხსენიებული როგორც “ფასს”), ასევე ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (შემდგომში მოხსენიებული როგორც “ფაისკ”) ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ჯგუფი და მისი შვილობილი კომპანიები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ფასს-ის შესაბამისად. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ბუღალტრული ცანაწერების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განმარტებულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში ქვემოთ.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარებში, თითო აქციის ღირებულების გარდა და თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო ვალუტაა ლარი.

დამატებითი წარმოდგენა და რეკლასიფიკაცია

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ჯგუფმა აღმოაჩინა წინა პერიოდებში დაშვებული რამდენიმე შეცდომა. ჯგუფმა აღნიშნული შეცდომები შეასწორა 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესადარისი ინფორმაციის დამატებით წარმოდგენით.

აღმოაჩინეს შემდეგი შეცდომები:

- 2008 წელს ჯგუფმა არ აღიარა ვიზა ინთერნეშენალში წილის სამართლიანი ღირებულების ზრდა. ამ შეცდომის შედეგად გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილი იყო შემცირებულად 141 და 120 ლარით შესაბამისად, მაშინ, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი გაზრდილი იყო 20 ლარით 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- ჯგუფმა არ აღიარა ცვეთის ხარჯი კომპიუტერსა და ოფისის აღჭურვილობაზე, ასევე ავტომობილებზე, რამაც გამოიწვია ძირითადი საშუალებების გადაჭარბებით წარმოდგენა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამავე თარიღით დასრულებული წლის ცვეთის ხარჯის 270 ლარით შემცირებულად წარმოდგენა.
- ჯგუფმა არ აღიარა 2008 წელში ფინანსური იჯარით მიღებული აქტივი. შედეგად ფინანსური იჯარის ხელშეკრულების შედეგად წარმოშობილი ძირითადი აქტივები და წმინდა ვალდებულებები, რომლებიც შეტანილია სხვა ვალდებულებების პუნქტში, შემცირებულად იყო წარმოდგენილი 828 ლარითა და 548 ლარით შესაბამისად, ამავე დროს სხვა აქტივები იყო გაზრდილი 405 ლარით 2008 წლის 31 წლის მდგომარეობით. ამის გარდა, სხვა საოპერაციო ხარჯები და საკურსო სხვაობები 2008 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის შემცირებული იყო 111 და 14 ლარით შესაბამისად.
- ჯგუფმა არ აღიარა 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის სამთავრობო ორგანიზაციის მიმდინარე ანგარიშის საპროცენტო ხარჯი, რომელმაც გამოიწვია 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეანაბრეთა წინაშე ვალდებულებების შემცირებულად წარმოდგენა 88 ლარით.
- 2008 წელთან დაკავშირებული წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან, ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა საოპერაციო ხარჯების თანხები 129, 59, 170 და 98 ლარის ოდენობით, შესაბამისად, არ იყო აღრიცხული კომპანიის მიერ, რამაც გამოიწვია 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივებისა და სხვა ვალდებულებების 185 ლარითა და 384 ლარით შემცირებულად წარმოდგენა.
- ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი, ასევე საპროცენტო შემოსავალი მოთხოვნიდან საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაჭარბებით იყო წარმოდგენილი 744 და 450 ლარით, შესაბამისად, მაშინ როდესაც, სხვა საოპერაციო ხარჯები, სხვა გაუფასურება და რეზერვები, და სხვა შემოსავალი 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემცირებულად იყო წარმოდგენილი 652, 157 და 1061 ლარით, შესაბამისად. შედეგად, სხვა აქტივები, გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და სხვა ვალდებულებები 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემცირებულად იყო წარმოდგენილი 539, 72 და 65 ლარით, შესაბამისად.
- სხვა აქტივები, ძირითადი საშუალებები და გადავადებული საგადასახადო ვალდებულება გაზრდილი იყო 331, 40 და 45 ლარით, შესაბამისად, მაშინ, როდესაც აკუმულირებული ზარალი იყო შემცირებული 326 ლარით 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- არ განხორციელებულა ძირითადი საშუალებების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაზე წლიური გადატანა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ამ შეცდომის შედეგად აკუმულირებული ზარალი და სხვა რეზერვები გაზრდილად იყო წარმოდგენილი 750 ლარით 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათასი ლარი)

2. შედეგების საფუძველი (გაგრძელება)

დამატებითი წარმოდგენა და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

ზევით მოცემული შეცდომების შესწორებასთან ერთად მოხდა შემდეგი რეკლასიფიკაციები 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის რათა შესაბამისობაში მოსულიყო 2009 წლის (ჩვენებასთან? ფორმატთან?) პრესენტაციონ:

- სეპ-ის მიმართ სავალდებულო რეზერვის რეკლასიფიკაცია მოხდა ფული და ფულის ექვივალენტების ანგარიშიდან მოთხოვნა საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ანგარიშზე.
- ჯგუფის ქონების განახლებისა და გაფართოებისთვის მომწოდებელზე გადახდილი თანხის რეკლასიფიკაცია მოხდა სხვა აქტივებიდან ძირითად საშუალებებზე.
- მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების ასევე ძირითად საშუალებებზე წინასწარ გადახდების რეკლასიფიკაცია მოხდა სხვა აქტივებიდან წინასწარ გადახდებზე.
- დოკუმენტური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის რეკლასიფიკაცია მოხდა სხვა საოპერაციო შემოსავლიდან შემოსავლებზე გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან.
- ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავლის; ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურების; საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების გადატანა მოხდა სხვა საოპერაციო ხარჯებიდან.

ზევით მოცემული შეცდომების შესწორებისა და რეკლასიფიკაციის ჯამური ეფექტი შემდეგია:

	<i>თავდაპირველად წარმოდგენილი</i>	<i>დამატებით წარმოდგენილი</i>	<i>რეკლასი-ფიკაცია</i>	<i>შესწორებული</i>
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ძირითადი საშუალებები	93,524	(40)	-	93,484
წინასწარ გადახდები	-	-	3,969	3,969
სხვა აქტივები	18,645	(331)	(3,969)	14,345
სულ აქტივები	283,063	(371)	-	282,692
გადავადებული სავალდებულებები	8,087	(45)	-	8,042
სულ ვალდებულებები	222,397	(45)	-	222,352
აკუმულირებული ზარალი	(234)	(326)	-	(560)
ბანკის აქციონერთა მთლიანი კაპიტალი	60,486	(326)	-	60,160

	<i>თავდაპირველად წარმოდგენილი</i>	<i>დამატებით წარმოდგენილი</i>	<i>რეკლასი-ფიკაცია</i>	<i>შესწორებული</i>
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ფული და ფულის ექვივალენტები	57,069	-	(5,909)	51,160
მოთხოვნა საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	3,729	-	5,909	9,638
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7,761	141	-	7,902
ძირითადი საშუალებები	98,655	539	2,089	101,283
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	630	-	-	630
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	1,149	91	-	1,240
წინასწარ გადახდები	-	-	17,201	17,201
სხვა აქტივები	35,519	53	(19,290)	16,282
სულ აქტივები	318,231	824	-	319,055
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	181,452	88	-	181,540
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	1,451	(12)	-	1,439
სხვა ვალდებულებები	38,408	999	-	39,407
სულ ვალდებულებები	303,472	1,075	-	304,547
აკუმულირებული ზარალი	(45,725)	378	-	(45,347)
სხვა რეზერვები	36,707	(629)	-	36,078
ბანკის აქციონერების მთლიანი კაპიტალი	14,785	(251)	-	14,534

(ათასი ლარი)

2. შედგენის საფუძველი (გაგრძელება)

დამატებითი წარმოდგენა და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

	თავდაპირველად წარმოდგენილი	დამატებით წარმოდგენილი	რეკლასი- ფიკაცია	შესწორებული
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის				
საპროცენტო შემოსავალი მოთხოვნიდან საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	930	(450)	-	480
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	(9,782)	(88)	-	(9,870)
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებელიდან	28,079	129	71	28,279
სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა მოგება	-	-	176	176
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან	(3,057)	(10)	-	(3,067)
სხვა შემოსავალი	11,177	1,061	(247)	11,991
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი	-	685	(35,836)	(35,151)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	-	(248)	(4,697)	(4,945)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(170)	(16,785)	(16,955)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(77,194)	(862)	57,318	(20,738)
სხვა გაუფასურება და რეზერვები	(5,099)	(157)	-	(5,256)
ხარალი მოგების გადასახადის სარგებლამდე	(54,338)	(110)	-	(54,448)
მოგების გადასახადის სარგებელი	8,641	64	-	8,705
წლის წმინდა ზარალი	(45,697)	(46)	-	(45,743)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო შემდეგი შესწორებული ფასს და ახალი ფასის ინტერპრეტაციები. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგებია:

ფასს-ში შეტანილი გაუმჯობესებები

2008 წლის მაისში ბასს-მა გამოუშვა ფასს-ის შესწორებები, რომელსაც საფუძველად ედო ბასს-ის წლიური გაუმჯობესების პროექტი. ისინი შეიცავენ მრავალ ბასს-ის ცალკეულ სტანდარტებთან დაკავშირებულ შესწორებებს, რომლებიც წარმოადგენენ როგორც ტერმინოლოგიურ ან სარედაქციო, ასევე ბუღალტრული წარდგენის, აღიარებისა თუ გაანგარიშების წესების ცვლილებებს. შესწორებების უმრავლესობა ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, თუმცა დაშვებულია ასევე უფრო ადრეული გამოყენება. 2008 წლის მაისში გამოსულ "ფასს-ის გაუმჯობესების" შესწორებებმა გავლენა არ მოახდინეს ჯგუფის ბუღალტრულ პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა თუ მის საქმიანობაზე.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (შესწორებული)

2007 წლის სექტემბერში გამოიცა შესწორებული ბასს 1 და ძალაში შევიდა 2009 წლის 1 იანვრის და შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ეს შესწორებული სტანდარტი განაცალკევებს მფლობელებისა და არამფლობელების მიერ კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებებს. კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში შევა მხოლოდ მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციების დეტალები, ხოლო არამფლობელებთან დაკავშირებული ცვლილებები კაპიტალში წარმოდგენილი იქნება ერთ ხაზად. გარდა ამისა, სტანდარტს შემოაქვს სრული შემოსავლების ანგარიშგების ცნება: მასში მოცემულია აღიარებული შემოსავლისა და ხარჯის ყველა პუნქტი ერთ მილიან ან ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ ანგარიშგებად. შესწორებული სტანდარტი ასევე მოითხოვს, რომ სრული შემოსავლის ანგარიშგების თითოეული კომპონენტის მოგების გადასახადზე ეფექტზე მოცემული იყოს განმარტებები. დამატებით, ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ყველაზე ადრეულ შესაძარისი პერიოდის მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში რეტროსპექტიული კორექტირების ან რეკლასიფიკაციის შემთხვევაში.

ჯგუფმა გადაწყვიტა წარმოადგინოს სრული შემოსავალი ორ ცალკეულ ანგარიშგებად: მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების სახით. ჯგუფმა წარმოადგინა კორექტირებული შესაძარისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ყველაზე ადრეულ შესაძარისი პერიოდზე, ვინაიდან მან რეტროსპექტიულად გააკეთა შესწორებები და განახორციელა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეტროსპექტიული რეკლასიფიკაცია.

(ათახი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები

2009 წლის მარტში გამოიცა ფასს 7-ის შესწორებები რეალური ღირებულების და ლიკვიდურობის განმარტებების გასაუმჯობესებლად. რეალურ ღირებულებასთან დაკავშირებული შესწორებები მოითხოვს რეალური ღირებულების მოცემას განმარტებებში სამი დონის იერარქიით, კლასების მიხედვით ყველა რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტისათვის. შესწორებები ასევე მოითხოვს იერარქიის დონეებს შორის ცვლილებების ასახვასა და რეალური ღირებულებით ასახული მესამე დონის იერარქიასთან დაკავშირებულ დეტალურ განმარტებას. დამატებით, შესწორებები ცვლის ლიკვიდურობის განმარტებებში მოცემის მოთხოვნებს წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ გარიგებებსა და ლიკვიდურობის მართვისთვის გამოყენებული აქტივებისათვის. შესადაარისი ინფორმაცია აისახა განმარტებებში..

ბასს 23 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები (შესწორებული)

კორექტირებული ბასს 23, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, გამოიცა 2007 წლის მარტში და ძალაში შევიდა 2009 წლის 1 იანვრის და შემდგომი ფინანსური პერიოდებისათვის. სტანდარტი შესწორდა იმისათვის, რომ მოითხოვოს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია მაშინ, როდესაც ამგვარი დანახარჯები დაკავშირებულია განსაკუთრებულ აქტივთან. განსაკუთრებული აქტივი ისეთი აქტივია, რომელიც გამოყენებისთვის ან რეალიზაციისთვის მოსამზადებლად დროის გარკვეული პერიოდი მოითხოვება. გარდამავალი მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფმა მიიღო სტანდარტი სამომავლო ცვლილების სახით. ასევე გამოყენებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 24 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (შესწორებული)

2009 წლის ნოემბერში გამოუშვებული შესწორებული ბასს 24 ამარტივებს განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს სამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებული საწარმოებისათვის და განმარტავს დაკავშირებული მხარის განსაზღვრებას. წინა პერიოდში, საწარმო, რომელიც ქვემდებარებოდა სამთავრობო ორგანიზაციის კონტროლს ან განიცდიდა მნიშვნელოვან გავლენას მათი მხრიდან, ვალდებული იყო წარმოედგინა ინფორმაცია ყველა ოპერაციაზე ანალოგიური კონტროლის ქვეშ მყოფ სხვა საწარმოებთან. კორექტირებული სტანდარტი მოითხოვს ამგვარი ოპერაციების განმარტებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არსებითია ცალკეულად ან ერთობლივად. კორექტირებული ბასს 24 ძალაშია 2011 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრეული მიღებაც. ჯგუფმა გადაწყვიტა შესწორებული ბასს 24-ის გამოყენება ადრეული პერიოდიდან, კერძოდ 2009 წლის 1 იანვრიდან.

ბასს 32-ის - "ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა" და ბასს 1-ის - "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" ცვლილებები - წინასწარი დაფარვის პირობით გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები და ლიკვიდაციისას წარმოშობილი ვალდებულებების

აღნიშნული ცვლილებები გამოუშვეს 2008 წლის თებერვალში და ძალაში შევიდა 2009 წლის 1 იანვრის და შემდგომი წლიური პერიოდებისათვის. ცვლილებები მოითხოვს წინასწარი დაფარვის პირობით გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტების, რომელთა ამოქმედების შედეგად შესაძლებელია საწარმოში წილის მოპოვება, კაპიტალად კლასიფიცირებას, თუ ისინი აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს. აღნიშნულ ცვლილებებს ჯგუფზე გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 2-ის "წილობრივი გადახდა" ცვლილებები - ძალაში შესვლის პირობები და გაუქმება

ფასს 2-ის ცვლილებები გამოუშვეს 2008 წლის იანვარში და ძალაში შევიდა 2009 წლის 1 იანვრის და შემდგომი პერიოდებისათვის. აღნიშნული ცვლილებები გაწერს ძალაში შესვლის და მიღებული საფასურის აღრიცხვის პირობებს, რომელიც უქმდება ძალაში შესვლის პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო. აღნიშნულ ცვლილებას ბანკზე გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 8 "საოპერაციო სეგმენტები"

ფასს 8 ძალაში შევიდა 2009 წლის 1 იანვრის და შემდგომი პერიოდებისათვის. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება ინფორმაციის წარდგენა ჯგუფის საოპერაციო სეგმენტების თაობაზე და ცვლის მოთხოვნას ჯგუფის პირველადი (ბიზნეს) და მეორადი (გეოგრაფიული) საანგარიშგებო სეგმენტების განსაზღვრის თაობაზე. აღნიშნული სტანდარტის მიღებას ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა თუ საქმიანობაზე გავლენა არ მოუხდენია. ჯგუფმა განსაზღვრა, რომ საოპერაციო სეგმენტები ანალოგიურია ბიზნეს სეგმენტებისა, რომელიც განისაზღვრა წინა პერიოდში ბასს 14-ის "ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით" შესაბამისად.

ფაისკ 13 "კლიენტების ლოიალობის პროგრამები"

ფაისკ ინტერპრეტაცია 13 გამოიშვა 2007 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2008 წლის 1 იანვრისა და შემდგომი წლიური პერიოდებისათვის. ინტერპრეტაცია მოითხოვს კლიენტების ლოიალობასთან დაკავშირებული კრედიტების აღრიცხვას შესაბამისი საფასურო ოპერაციის ცალკეულ კომპონენტად და მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულების ნაწილის განაწილებას კრედიტებზე და გადავადებას კრედიტის დაფარვის პერიოდზე. აღნიშნულ ინტერპრეტაციას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია, ამგვარი სქემის არარსებობის გამო.

(ათახი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფაისკ 15 "უძრავი ქონების მშენებლობის ხელშეკრულებები"

ფაისკ ინტერპრეტაცია 15 გამოიცა 2008 წლის ივლისში და რეტროსპექტიულად ეხება 2009 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. ფაისკ 15 გაწერს როდის და რა სახით უნდა მოხდეს უძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებული შემოსავლისა და შესაბამისი ხარჯების აღიარება, თუ ხელშეკრულება დეველოპერსა და მყიდველს შორის მიღწეულია მშენებლობის დასრულებამდე პერიოდში. ინტერპრეტაცია ასევე გაწერს ინსტრუქციებს თუ როგორ უნდა განისაზღვროს ხელშეკრულება ბასს 11-ის "სამშენებლო კონტრაქტები" ან ბასს 18-ის "ამონაგები" შესაბამისად და ცვლის მიმდინარე ინსტრუქციას უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ბასს 18-ის დანართში. აღნიშნულ ინტერპრეტაციას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ფაისკ 16 "უცხოურ ოპერაციაში წმინდა ინვესტიციის პეჯირება"

ფაისკ 16-ის ინტერპრეტაცია გამოიცა 2008 წლის ივლისში და ეხება 2008 წლის 1 ოქტომბერს და მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. აღნიშნული ინტერპრეტაცია გაწერს უცხოური ვალუტის რისკის, რომელის პეჯირებაც უნდა მოხდეს წმინდა ინვესტიციის პეჯირების ოპერაციაში, იდენტიფიცირების ინსტრუქციებს, აღწერს პეჯირების ინსტრუმენტის ადგილს ჯგუფში და იმას, თუ როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ სავალუტო მოგების ან ზარალის თანხა, რომელიც ეხება როგორც წმინდა ინვესტიციას, ასევე პეჯირების ინსტრუმენტს, რომელიც უქმდება წმინდა ინვესტიციასთან ერთად. ინტერპრეტაციას არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 9-ის – "ჩართული დერივატივების გადაფასება" - ცვლილებები

ცვლილებების თანახმად კიბრიდული ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით არსებული ფინანსური აქტივიდან რეკლასიფიკაციისას, საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ, განაცალკეონ თუ არა ჩართული დერივატივი ძირითადი კონტრაქტისაგან. ასეთი შეფასება უნდა განხორციელდეს საწარმოს კონტრაქტის მხარედ მიღებასა და კონტრაქტის ნებისმიერი სახის ცვლილებას შორის, რომელიც კონტრაქტის ფულად ნაკადებს მნიშვნელოვნად ცვლის, უგვიანესი თარიღით. ცვლილებები ეხება 2009 წლის 30 ივნისით დასრულებულ ან მის შემდგომ წლიურ პერიოდებს. ცვლილების მიღებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან არ მომხდარა იმ ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია, რომლებიც მოიცავენ ჩართულ დერივატივებს.

ფაისკ 18 კლიენტებისგან მიღებული აქტივების გადაცემა

ფაისკ 18 გამოიცა 2009 წლის იანვარში და ძალაში შედის კლიენტებისგან 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ მიღებული აქტივების გადაცემასთან მიმართებაში. დაშვებულია ასევე უფრო ადრეული მიღებაც მაშინ, როდესაც შეფასება მიღებულია გადაცემის თარიღისათვის. ინტერპრეტაცია რეტროსპექტიული ხასიათისაა. ფაისკ 18 განმარტავს იმ ხელშეკრულების აღრიცხვის წესებს, რომლითაც საწარმო კლიენტისგან მიიღებს ძირითად საშუალებას, რომელიც შემდგომ უნდა გამოიყენოს კლიენტის ქსელში ჩართვის მიზნით, ან მიანიჭოს კლიენტს უწყვეტი წვდომა პროდუქციასა თუ მომსახურებასთან, ან ორივე შემთხვევაში. აღნიშნულ ინტერპრეტაციას არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა თუ საქმიანობაზე, ვინაიდან ჯგუფს არ გადაუცია კლიენტებისგან მიღებული აქტივები.

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები, ანუ ის კომპანიები რომლებშიც ჯგუფს გააჩნია ხმის უფლებების ნახევარზე მეტი წილი ან სხვაგვარად აქვს უფლება განახორციელოს მათი ოპერაციების კონტროლი, კონსოლიდირებულია. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ჯგუფისათვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან და ძალაშია კონტროლის ვადის ამოწურვამდე. ჯგუფის კომპანიებს შორის ჩატარებული ყველა შიდა ოპერაცია, ნაშთები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის შიდა ოპერაციებთან მთლიანად იქვეითება; არარეალიზებული ზარალიც იქვეითება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველი. საჭიროებისამებრ შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია და შესაბამისობაშია მოყვანილი ჯგუფის პოლიტიკასთან.

შვილობილი კომპანიების შესყიდვა

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიების შესყიდვისას გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის შესყიდვათა მეთოდი. შეძენილი ამოცნობადი აქტივები და შერწყმისას არსებული ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის თარიღისათვის, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

შესყიდვის საფასურის მეტობა ჯგუფის წილზე ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა სამართლიანი ღირებულებაში აღიარებულია როგორც გუდვილი. თუ შვილობილი კომპანიის შესყიდვის ღირებულება ნაკლებია ჯგუფის წილზე ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა სამართლიანი ღირებულებაში, სხვაობა პირდაპირ აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შვილობილი კომპანიები (გაგრძელება)

უმცირესობის წილი წარმოადგენს წილს შვილობილ კომპანიაში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი. უმცირესობის წილი საბალანსო ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის წარმოადგენს უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა სამართლიან ღირებულებაში შესყიდვის თარიღისათვის და უმცირესობის წილს კაპიტალში შესყიდვის თარიღის შემდგომ. უმცირესობის წილი ჩართულია კაპიტალში.

უმცირესობის წილის ზარალი არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უმცირესობის ვალდებულება დაფაროს ზარალი. ყველა ასეთი ზარალი განეკუთვნება ჯგუფს.

შვილობილ კომპანიებში კუთვნილი წილის ზრდა

სხვაობა შესყიდულ შვილობილ კომპანიებში წილებთან დაკავშირებული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და კუთვნილი წილების ზრდის თარიღისათვის ამგვარი ზრდისათვის გაცემულ ანაზღაურებას შორის ირიცხება ან კრედიტდება აკუმულირებულ ზარალზე.

საერთო კონტროლის ქვეშ არსებული მხარისგან შვილობილი კომპანიის შექმნა

საერთო კონტროლის ქვეშ არსებული მხარისგან შვილობილი კომპანიის შექმნა უნდა აღირიცხოს ინტერესთა გაერთიანების მეთოდით.

საერთო კონტროლის საფუძველზე შვილობილი კომპანიისგან გადაცემული აქტივები და ვალდებულებები ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება გადაცემის დღისთვის გადამცემი კომპანიის (წინამორბედი) ბალანსზე არსებული ღირებულებით. კუთვნილი გუდვილი, რომელიც დაკავშირებული იყო წინამორბედის მიერ თავდაპირველ შესყიდვასთან ასევე აღირიცხება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ნებისმიერ სხვაობა წმინდა აქტივების ჯამურ საბალანსო ღირებულებასა, მათ შორის წინამორბედის გუდვილი, და გადახდილ თანხას შორის ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც აქციონერთა კაპიტალის კორექტირება.

აღნისნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, შესაბამისი თანხების ჩათვლით, წარმოდგენა უნდა მოხდეს ისევე, როგორც მოხდებოდა ჯგუფს რომ შეესყიდა შვილობილი კომპანია იმ დღეს, როდესაც მისი შესყიდვა მოხდა თავდაპირველად წინამორბედის მიერ.

ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში

პარტნიორები წარმოადგენენ კომპანიებს, რომელშიც ჯგუფი ზოგადად ფლობს საარჩევნო ხმის უფლებებს 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად აქვს უნარი განხორციელოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს ან სხვა პირთან ერთად აკონტროლებს.

ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში ანგარიშდება კაპიტალის მეთოდით და თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, გუდვილის ჩათვლით. შესაბამისი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს მოკავშირე საწარმოში წმინდა აქტივებში ჯგუფის წილში შესყიდვის შემდგომ ცვლილებებს. მოკავშირე საწარმოების მოგება-ზარალში ჯგუფის წილი აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში, ხოლო რეზერვებში მისი გადაადგილების წილი აისახება კაპიტალში. თუმცა, როდესაც ჯგუფის ზარალის წილი მოკავშირე საწარმოს კაპიტალში თანაბარია ან აღემატება მის წილს მოკავშირე საწარმოს კაპიტალში, ჯგუფი არ ასახავს შემდგომ დანაკარგებს, თუ ჯგუფი ვალდებული არ არის შემდგომი გადახდების განხორციელებაზე მოკავშირე საწარმოს მიმართ, ან მოკავშირე საწარმოს სახელით.

გაუნაწილებელი მოგება ჯგუფსა და მის მოკავშირე საწარმოებს შორის ნაწარმოებ ტრანზაქციებზე უქმდება მოკავშირე საწარმოს კაპიტალში ჯგუფის წილის მოცულობის შესაბამისად. გაუნაწილებელი დანაკარგები ასევე უქმდება თუ ტრანზაქციით უზრუნველყოფილი არ არის გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულება.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის ფარგლებში კლასიფიცირდება როგორც ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხები და დებიტორული დავალიანებები, ვადის ამოწურვამდე შენარჩუნებული ინვესტიციები ან გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივები, გარემოების მიხედვით. როდესაც ფინანსური აქტივების აღიარება ხდება თავდაპირველად, ისინი ფასდება სამართლიანი ღირებულების მიხედვით, პლუს, როდესაც ინვესტიციები ასახული არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგების-ზარალის ანგარიშგების გავლით, უშუალოდ დაკავშირებული საოპერაციო ხარჯები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების საფუძველზე.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ნასყიდობის აღიარება ხორციელდება სავაჭრო დღეს, ე.ი. თარიღით, როდესაც ჯგუფი ახორციელებს აქტივის გაყიდვას ან შესყიდვას. ნასყიდობა წარმოადგენს ფინანსური აქტივების ყიდვას ან გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების გადაცემას ბაზარზე დებულებების ან კონვენციების საფუძველზე საყოველთაოდ დადგენილი პერიოდის განმავლობაში.

დაფარვის ვადაზე შენარჩუნებული ინვესტიციები

არა-დერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით და დადგენილი ვადით კლასიფიცირდება, როგორც დაფარვის ვადაზე შენარჩუნებული, როდესაც ჯგუფს აქვს დადებითი განზრახვა და უნარი შეინარჩუნოს ისინი ვადის ამოწურვამდე. ინვესტიციები, რომელთა ფლობაც დაგეგმილია განუსაზღვრელი პერიოდით, გათვალისწინებული არ არის ამ კლასიფიკაციაში. დაფარვის ვადაზე შენარჩუნებული ინვესტიციები შესაბამისად ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. მოგება და ზარალი აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში, როდესაც ინვესტიციები უფასურდება ისევე, როგორ ამორტიზაციის პროცესში.

სესხები და დებიტორული დავალიანებები

სესხები და დებიტორული დავალიანებები არა-დერივატიული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. ისინი არ ფორმდება დაუყოვნებელი ან მოკლე ვადაში გადაყიდვის განზრახვით და არ კლასიფიცირდება, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან არ განისაზღვრება, როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ფასიანი ქაღალდები. ამგვარი აქტივები ამორტიზირებული ღირებულების მატარებელია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალი აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სესხებისა და დებიტორული დავალიანებების აღიარების გაუქმების ან გაუფასურების, ისევე როგორც ამორტიზაციის დროს.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული აქტივები არის ის არა-დერივატიული ფინანსური აქტივები, რომლებიც განკუთვნილია გასაყიდად ან არ კლასიფიცირდება არცერთ ზემოთ მოცემულ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ფასდება სამართლიანი ღირებულებით გაუნაწილებელი მოგებით ან ზარალით, რომელიც აღიარებულია, როგორც კაპიტალის ცალკეული კომპონენტი მანამ, სანამ ინვესტირების აღიარება გაუქმდება ან სანამ ინვესტირება განისაზღვრება გაუფასურებულად, რომელ დროსაც კუმულატიური მოგება ან ზარალი, რომელიც ადრე ასახული იყო კაპიტალში რეკლასიფიცირდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით დაანგარიშებული პროცენტი აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ბალანსის შედგენის თარიღისათვის ან დილერის მიერ შეთავაზებული ფასით (შეთავაზებული ფასი გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნილი ფასი მოკლე პოზიციაზე), ტრანზაქციის ხარჯის გამოკლების გარეშე.

ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდის გამოყენებით. ამგვარი შეფასების მეთოდი მოიცავს დღევანდელი ღირებულებით შეფასების მეთოდს, შედარებას მსგავს ინსტრუმენტებთან, რომელთათვისაც განსაზღვრულია საბაზრო ღირებულება და შეფასების სხვა რელევანტურ მეთოდებს.

გაჭიფთვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაჭიფთვა და მათი წმინდა თანხით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაჭიფთვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა. როგორც წესი აღნიშნული არ ეხება ურთიერთნათავის ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ეროვნული ბანკისადმი, (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ჯგუფი სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს ავანსებსა თუ დეპოზიტებს სხვა ბანკებში. თავდაპირველად საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნების თანხა აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ნასესხები სასსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირებულია როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ფულადი ან ფინანსური აქტივის გადაცემის ვალდებულება მფლობელის წინაშე, ან როდესაც ჯგუფი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიმართ, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მეანაბრეების მიმართ და სხვა ნასესხებ სასსრებსა. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

იჯარა

i. ფინანსური – ჯგუფი როგორც მოიჯარე

ჯგუფი ფინანსურ იჯარას ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახავს როგორც აქტივს და ვალდებულებას იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან იჯარით მიღებული ქონების სამართლიანი ღირებულების თანხით, ან მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების თანხით, თუ ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებია. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების დანაგარიშებისას დისკონტირების გამოყენებული ფაქტორი არის იჯარით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი, როდესაც მისი განსაზღვრა პრაქტიკულია; წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენება ჯგუფის სესხებზე არსებული საპროცენტო განაკვეთი. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები შეიტანება როგორც აქტივის ნაწილი. საიჯარო გადასახდელები განაწილებულია ფინანსურ ხარჯსა და გადასახდელი ვალდებულების შემცირებას შორის. ფინანსური ხარჯი გადანაწილებულია პერიოდებზე იჯარის ვადის განმავლობაში ისე, რომ თითოეული პერიოდისთვის ვალდებულების საბალანსო ნაშთზე დაერიცხოს უცვლელი საპროცენტო განაკვეთი.

მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარისთვის შესრულებულ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები შეიტანება როგორც აქტივებში აღიარებული იჯარის თანხის ნაწილი.

ii. საოპერაციო – ჯგუფი როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომლის საფუძველზეც მოიჯარის მიერ ეფექტურად არის შენარჩუნებული საკუთრების რისკები და ანაზღაურებები, კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარის გადასახდელების აღიარება ხარჯებად საოპერაციო იჯარის ფარგლებში ხდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში და შეიტანება სხვა საოპერაციო ხარჯებში.

iii. საოპერაციო – ჯგუფი როგორც მეიჯარე

ჯგუფი საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს კონსოლიდირებულ ბალანსში აქტივების ფორმის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. იჯარის ვადის განმავლობაში, როგორც სხვა შემოსავალი. მოიჯარისათვის მიცემული წახალისებები დაგროვილი ღირებულების აღიარება ხდება, როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის განმავლობაში. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება სპეციალურად საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების გამოუმუშავებისათვის ემატება იჯარით გაცემული აქტივების საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი საანგარიშგებო თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ჯგუფი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისთვის, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში რომელსაც გააჩნია ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემოტვრეულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი და მოხდა ყველა უზრუნველყოფის რეალიზაცია ან ჯგუფისთვის გადაცემა. თუ შემდგომში გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. თუ მომავალში მოხერხდა ჩამოწერილი თანხის ამოღება, იგი კრედიტდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გასათვლად ასახავს ფულად ნაკადებს რომლებიც გამომდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რომელსაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ჯგუფის შიდა საკრედიტო რანგირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახული იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება წლიდან წლამდე ცვლად შესამჩნევ მონაცემებს (როგორებიცაა უმუშევრობის დონე, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც აქტივების ჯგუფში ზარალის განმსაზღვრელია). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

დაფარვის ვადაზე შენარჩუნებული ფინანსური ინვესტიციები

დაფარვის ვადაზე შენარჩუნებული ინვესტიციებისთვის ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და ზარალის თანხა აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ მომავალ პერიოდში გაუფასურების სავარაუდო მოცულობა მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ დარიცხული ნებისმიერი თანხა კრედიტდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციებისათვის ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ინვესტიციის თუ ინვესტიციათა ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

გასაყიდად არსებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი მოიცავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას. თუ არსებობს გაუფასურების საფუძველი, აკუმულირებული ზარალი, (რომელიც შეფასებულია როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, მინუს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალი) ამოღებულია სხვა შემოსავლების მუხლიდან და აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კაპიტალის ინვესტიციების გაუფასურების ზარალის შებრუნება მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების გავლით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა მთლიანად სხვა შემოსავლებში აისახება.

გასაყიდად არსებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების შეფასება ხდება იმავე კრიტერიუმებით, როგორც ამორტიზებული ღირებულების მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში. სამომავლო საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და ირიცხება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუ შემდგომ პერიოდში სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ზრდა შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოვლენას, ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

რესტრუქტურული სესხები

საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ახდენს სესხების რესტრუქტურისა და იმის ნაცვლად, რომ მიიღოს მფლობელობაში უზრუნველყოფა. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას. მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობების ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა გადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს ხელახლა შეთანხმებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწერა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის ვადა;
- ჯგუფმა გადასცა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადასდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, თუმცა გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ მოხდარა რისკებისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს, შორის უმცირესით.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შექმნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ჯგუფის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ჯგუფის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის საადსრულებო ფასს შორის უმცირესით.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები აქტივთან მიმართებაში ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას კრედიტორთან ცვლის მეორე, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების ჩამოწერა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური გარანტიები

ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივ პროცესში ჯგუფი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, აკრედიტივებსა და აქცეპტებს. ფინანსური გარანტიები აღირიცხება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით, სხვა ვალდებულებებში, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ჯგუფის ვალდებულებები ყოველი გარანტიისთვის იზომება ამორტიზებულ პრემიასა და იმ ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით, რომელიც საჭირო იქნება გარანტიიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან, აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიღებული პრემია აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შესაბამისად.

სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანებები

სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანებები აღიარებულია სადაზღვევო პოლისის პირობებზე დაერდნობით და ფასდება თვითღირებულებით. სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულების შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება, როდესაც გარემოებები ან შემთხვევები მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულება არ შეიძლება იქნას ამოღებული, ხოლო გაუფასურების ზარალი შეიტანება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში.

გადაზღვევის დებიტორული დავალიანებები უპირველეს ყოვლისა მოიცავს როგორც სადაზღვევო ისე გადამზღვევი კომპანიების მიერ გადასახდელ ნაშთებს, დათმობილი სადაზღვევო ვალდებულებებისათვის. სავარაუდო გადაზღვევის პრემიების შემოსავალად აღიარება ხდება იგივენაერად, როგორც ეს მოხდებოდა, გადაზღვევა რომ პირდაპირ ბიზნესად ჩათვლილიყო, გადაზღვეული ბიზნესის პროდუქტის კლასიფიკაციის გათვალისწინებით. გადაზღვევების მიმართ გადასახდელი თანხები ფასდება დაკავშირებული გადაზღვევის პოლიტიკის შესაბამისი ფორმით და გადაზღვევის კონტრაქტის მიხედვით. დათმობილი პრემიები და ანაზღაურებული მოთხოვნები წარმოდგენილია ბრუტო საფუძველზე.

გაუფასურების გადახედვა სრულდება გადაზღვევის ყველა აქტივზე, როდესაც ჩნდება გაუფასურების საფუძველი. გადაზღვევის დებიტორული დავალიანებების გაუფასურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა ვერ მიიღოს მისთვის გადასახდელი ყველა თანხა კონტრაქტის პირობების შესაბამისად, და ეს შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

სადაზღვევო ვალდებულებები

ძირითადი სადაზღვევო ვალდებულებები

ძირითადი სადაზღვევო კონტრაქტის ვალდებულებები ეყრდნობა საანგარიშო დღეს წარმოქმნილი, და აუნაზღაურებელი მოთხოვნების სავარაუდო საბოლოო ღირებულებას, მიუხედავად იმისა ანგარიშში იქნება თუ არა წარმოდგენილი, დაკავშირებული მოთხოვნების მართვის ხარჯებსა და გასამრჯელოსა და სხვა უკან მიღებული თანხების სავარაუდო ღირებულების შემცირებასთან ერთად. მნიშვნელოვან შეყოვნებებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი საერთო სადაზღვევო მოთხოვნების გარკვეული ტიპების შეტყობინებასა და მოგვარებისას, კერძოდ, პასუხისმგებლობასთან, გარემოსდაცვის და დაბინძურების საკითხებთან მიმართებაში, და შესაბამისად რომლის საბოლოო ღირებულება არ შეიძლება ცნობილი იყოს საანგარიშო დღისათვის.

გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვები

მიღებული პრემიების პროპორცია, მათ შორის შუამავლებისათვის გადასახდელი საკომისიო, რომელიც ეხება მომდევნო პერიოდებს, გადაიტანება, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელ პრემიის რეზერვის ცვლილება შეტანილია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში იმ თანმიმდევრობით, რომლითაც შემოსავლის აღიარება ხდება რისკის პერიოდის განმავლობაში, ან ყოველწლიური შემოსავლისათვის, სავარაუდო სამომავლოდ სარგებლის მისაღები თანხები.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სადაზღვევო ვალდებულებები (გაგრძელება)

ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველ საანგარიშო დღეს ტარდება ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი, რათა უზრუნველყონ გამოუმუშავებული პრემიების ადეკვატურობა დაკავშირებული გადავადებული შეძენის ხარჯების გამოკლებით. ტესტის ჩატარებისას, გამოიყენება მიმდინარე საუკეთესო შეფასება მომავალი საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის, მოთხოვნების რეგულირებისა და პოლიტიკის აღმინისტრაციული ხარჯები ისევე, როგორც საინვესტიციო შემოსავალი აქტივებიდან, რომლებიც ამგვარ ვალდებულებებს. ნებისმიერი არა-ადეკვატურობა დაუყოვნებლივ აღირიცხება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისში ამოუწურავი რისკის რეზერვის ჩამოყალიბებით.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ის წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული საგადასახადო ხარჯის ჯამს.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება ხდება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ვალდებულებათა მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან ან აქტივიდან ან ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ ახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა საანგარიშო დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მოკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის შებრუნების დრო და ახლო მომავალში შებრუნება არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია საბალანსო ღირებულებით გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა; მინუს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარების შემდგომ შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის მინუს შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმაოდ ხშირად იმისათვის, რათა უზრუნველყონ, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების დღეს არსებული დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა წარმოადგენს აქტივის გადაფასებულ თანხას. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ჩართული აქტივის გადაფასებისას მისი მოცულობის კლების შებრუნება. ამ შემთხვევაში მატება აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე უწინ აღიარებულ მატებას, და გამოიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას ცალკეულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის მომსახურებაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი წლიური განაკვეთებით:

შენობა-ნაგებობა	2%-5%
ავეჯი და მოწყობილობები	15%-20%
კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობები	20%-25%
სატრანსპორტო საშუალებები	20%-25%
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	15%-25%

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების მშენებლობასთან, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, ისევე როგორც მსგავსი ძირითადი საშუალებისა, იწყება აქტივის მომსახურებაში გადაცემისას.

საინვესტიციო ქონება

ჯგუფი ზოგიერთ ქონებას ფლობს საინვესტიციო ქონების სახით, საიჯარო შემოსავლის მისაღებად, კაპიტალის ღირებულების ზრდისათვის ან ორივე მიზნით. საინვესტიციო ქონება აღირიცხება შექმნის ღირებულებით, შემდგომი დანახარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი შეიტანება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზაცია ხდება სასარგებლო ეკონომიური ხანგრძლივობის - 5-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება თუ არსებობს გაუფასურების ნიშნები. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე იურიდიული თუ კონსტრუქტიული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები და გამოუსყიდვადი პრივილეგირებული აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები, პირდაპირ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციების გარდა, აღრიცხულია როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი (გაგრძელება)

სახაზინო აქციები

როდესაც ჯგუფი ან მისი შვილობილი კომპანია შეიძენს ჯგუფის წილს, გადახდილი საფასური, დაკავშირებულ წმინდა საოპერაციო თანხებთან ერთად (მოგების გადასახადის გამოკლებით) გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან როგორც სახაზინო აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე, როდესაც შემდგომში ხდება ასეთი აქციების გაყიდვა ან ხელახლა გამოშვება, ხდება მიღებული საფასურის ჩართვა კაპიტალში. სახაზინო აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი განცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ჩაირთვება განმარტებებში როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან განცხადებულია ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

სემენტის ანგარიშგება

ჯგუფის სემენტის ანგარიშში ეფუძნება შემდეგ საოპერაციო სემენტებს: საცალო საბანკო მომსახურება, კორპორატიული და კომერციული მომსახურება, კორპორატიული ცენტრი და უძრავი ქონების მართვის ფუნქციები.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მაგრამ ხდება მათი განმარტებებში ჩვენება იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით არის დაბალი. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია განმარტებებში მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება არის მოსალოდნელი.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები შესაბამისად, 2009 წლის 1 იანვრამდე თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხებიდან ხდებოდა საპენსიო გადახდების გარკვეული პროცენტის დაკავება, სახელმწიფო საპენსიო ფონდში გადასარიცხად, კერძოდ, თანამშრომლის ხელფასის ხარჯის ნაწილი კავდებოდა წყაროსთან და მის სახელზე ირიცხებოდა სახელმწიფო საპენსიო ფონდში. ეს ხარჯი ირიცხებოდა იმ პერიოდში, როდესაც ხდებოდა შესაბამისი ხელფასის გამომუშავება. პენსიაზე გასვლისას უკვე სახელმწიფო საპენსიო ფონდი ანაზღაურებს პენსიას.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდებოდეს შემოსავლის აღიარება:

პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეოთხედით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ადისკონტირებს მოსალოდნელ სამომავლო ფულად დაფარვებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის მანძილზე ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მიესადაგება ახალ საბალანსო ღირებულებას.

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მისი კლიენტებისათვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურებიდან. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

- *შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან*

შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან დარიცხულია იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიო მოსაკრებლიდან და აქტივების მართვიდან, მუერეობისა და სხვა მმართველობის და საკონსულტაციო გადასახადებს. სასესო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა მზარდ ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

- *შემოსავალი საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან*

თანხები მიღებული მესამე მხარეთა ოპერაციებთან დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან – როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვა თუ საწარმოს შესყიდვა ან გაყიდვა – აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები დაკავშირებული გარიგებებთან აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ.

შემოსავალი დივიდენდებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ანგარიშგების შედგენის დღეს მმართველი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას მინუს ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც აღირიცხება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც აღირიცხება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ეროვნული ბანკის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას მინუს ზარალის მუხლში.

2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგია:

	<i>30 ივნისი 2010</i>	<i>31 დეკემბერი 2009</i>	<i>31 დეკემბერი 2008</i>
ლარი/1 აშშ დოლარი	1.8442	1.6858	1.6670
ლარი/1 ევრო	2.2484	2.4195	2.3648

სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” ცვლილებები - პეჯირებული საშუალებები
ბასს 39-ის ცვლილება გამოიცა 2008 წლის აგვისტოში და ძალაში შედის 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწეული წლიური პერიოდებისათვის. ცვლილება აღწერს პეჯირებულ საშუალებებში ცალმხრივი რისკის მახასიათებლებს და ინფლაციის პეჯირებულ რისკად ან რისკის ნაწილად წარმოდგენას გარკვეულ სიტუაციებში. ცვლილების მიხედვით, საწარმოს შეუძლია ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილების ან არამდგრადი ფულადი ნაკადების ნაწილი აღიაროს პეჯირებულ საშუალებად. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ბასს 39-ის ცვლილება გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ჯგუფი არ არის ჩართული ამგვარ პეჯირების ოპერაციებში.

(ათახი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” (შესწორებული 2008 წლის იანვარში) და ბასს 27 “კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება” (შესწორებული 2008 წლის იანვარში)

შესწორებული სტანდარტები გამოიცა 2008 წლის იანვარში და ძალაში შედის 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კორექტირებული ფასს 3 წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებულ რიგ ცვლილებებს, რომელთაც გავლენა ექნებათ აღიარებული გუდვილის თანხაზე, შექმნის პერიოდისათვის გაცხადებულ და სამომავლო შედეგებზე. შესწორებული ბასს 27 მოითხოვს, რომ შვილობილი კომპანიის მფლობელთა წილის ცვლილება გათვალისწინებულ იქნას კაპიტალის ოპერაციაში. შესაბამისად, ამგვარი ცვლილება არ იქონიებს გავლენას გუდვილზე, არ წარმოშობს მოგებასა თუ ზარალს. უფრო მეტიც, შესწორებული სტანდარტი ცვლის შვილობილი კომპანიის მიერ წარმოშობილი ზარალის, ასევე შვილობილი კომპანიის კონტროლი დაკარგვის აღრიცხვას. სტანდარტში წარმოდგენილი ცვლილებები სამომავლოდ მიღებულ უნდა იქნას და გავლენას იქონიებს მხოლოდ სამომავლო შექმნასა და ოპერაციებზე უმცირესობის წილით.

ფასს 2-ის – “წილობრივი გადახდა : ჯგუფის ფულადი წილობრივი გადახდის ოპერაციები”

ფასს 2-ის ცვლილებები გამოიცა 2009 წლის ივნისში და ძალაში შედის 2010 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ცვლილება გაწერს ჯგუფის ფულადი წილობრივი გადახდის ოპერაციების პირობებსა და აღრიცხვის წესს. აღნიშნული ცვლილება ასევე ცვლის ფაისკ 8-ს და ფაისკ 11-ს. ჯგუფი არ ელის, რომ ამ ცვლილებას გავლენა ექნება მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 17 “არაფულადი აქტივების განაწილება მფლობელებზე”

ფაისკ ინტერპრეტაცია 17 გამოიცა 2008 წლის 27 ნოემბერს და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ფაისკ 17 ეხება არაფულადი აქტივების პროპორციულ განაწილებას, გარდა საერთო კონტროლის მქონე ოპერაციებისა და მოითხოვს, რომ გადასახდელი დივიდენდის აღიარება მოხდეს მაშინ, როდესაც დივიდენდი სათანადოდ იქნება ავტორიზებული და აღარ იქნება საწარმოს განკარგულებაში; საწარმომ გადასახდელი დივიდენდი უნდა შეაფასოს წმინდა გასანაწილებელი აქტივების სამართლიანი ღირებულებით; საწარმომ უნდა ასახოს სხვაობა გადახდილ დივიდენდსა და მოგებაში ან ზარალში განაწილებულ წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის. ინტერპრეტაცია ასევე მოითხოვს, რომ საწარმომ უზრუნველყოს დამატებითი განმარტება, თუ წმინდა აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მფლობელებისათვის გასანაწილებლად, შეესაბამება შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას. ჯგუფის ვარაუდით ეს ინტერპრეტაცია გავლენას არ იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ს გაუმჯობესებები

2009 წლის აპრილში ბასსს-მა გამოსცა მისი სტანდარტების ცვლილების მეორე კრებული, რომლის ძირითად მიზანს უზუსტობათა აღმოფხვრა და ტექსტობრივი განმარტებები წარმოადგენდა. ცვლილებათა უმეტესობა ეხება 2010 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. წარმოდგენილია ასევე ცალკეული გარდამავალი მუხლები თითოეული სტანდარტისათვის. 2009 წლის აპრილში შეტანილი ცვლილებები – “ფასს-ს გაუმჯობესებები” არ იქონიებს გავლენას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა თუ შედეგებზე, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის ქვემოთ აღწერილი შემდეგი ცვლილებებისა:

- ფასს 5 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები: განმარტავს, რომ გასაყიდად გამიზნულ ან შეწყვეტილ ოპერაციად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივებსა და გასაყიდ ჯგუფთან დაკავშირებული განმარტებები შეიტანება მხოლოდ ფასს 5-ით მოთხოვნის შესაბამისად. სხვა ფასს-ების მოთხოვნები განმარტებებთან დაკავშირებით გამოიყენება თუ კონკრეტულად მოითხოვება ასეთი გრძელვადიანი აქტივებისა და შეწყვეტილი ოპერაციებისთვის ჯგუფი არ ელის რომ ეს ცვლილება გავლენას მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 8 - ინფორმაცია საოპერაციო სეგმენტზე: განმარტავს, რომ სეგმენტური აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენა ანგარიშში საჭიროა მხოლოდ, როდესაც ეს აქტივები და ვალდებულებები შედიან უფროსი საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღების მიერ გამოყენებულ საშუალებებში. ვინაიდან ჯგუფის უფროსი საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები განიხილავს სეგმენტურ აქტივებსა და ვალდებულებებს, ჯგუფი განაგრძობს ამ ინფორმაციის განმარტებებში ასახვას.
- ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება: ხაზგასმით გაწერს, რომ მხოლოდ ის დანახარჯი, რომელიც შედეგად აქტივის აღიარებას იწვევს, შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას ფულად ნაკადად საინვესტიციო საქმიანობიდან.
- ბასს 36 - აქტივების გაუფასურება: ცვლილება გაწერს, რომ უმსხვილეს მუხლს, რომელზეც შეიძლება განაწილდეს ბიზნესის გაერთიანებისა შექმნილი გუდვილი, წარმოადგენს საოპერაციო სეგმენტი ფასს 8-ის შესაბამისად, ვიდრე მოხდებოდეს საანგარიშგებო პროცესისთვის აგრეგირება. ცვლილებას არ ექნება გავლენა ჯგუფზე, ვინაიდან წლიური გაუფასურების შემოწმება აგრეგირებამდე ხდება.

(ათახი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ბასს 32-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა” ცვლილებები: აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების კლასიფიკაცია

2009 წლის ოქტომბერში, ბასსს-მ გამოსცა ბასს 32-ის ცვლილება. საწარმოები მიიღებენ აღნიშნულ ცვლილებას 2010 წლის 1 თებერვალს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრეული მიღებაც. ცვლილება აკორექტირებს ფინანსური ვალდებულების განმარტებას ბასს 32-ში აქციის უპირატესი შესყიდვის უფლებისა და ზოგიერთი ოფციონებისა თუ გარანტიების კაპიტალის ინსტრუმენტად კლასიფიკაციის მიზნით. აღნიშნული ძალაშია თუ უფლებას ანიჭებენ საწარმოს არაწარმოებული კაპიტალის ინსტრუმენტების ანალოგიური კლასის ყველა მფლობელს პროპორციული წესით, ამგვარი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის ფიქსირებულ თანხად შესასყიდად ნებისმიერ ვალუტაში. ჯგუფი არ ელის, რომ აღნიშნულ ცვლილებას გააგენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”

2009 წლის ნოემბერში ბასსს-მა პირველად გამოსცა ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები. აღნიშნული სტანდარტი საბოლოოდ ჩაენაცვლება ბასს 39-ს – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული ფინანსური წლებისათვის. საწარმოებს შეუძლიათ მიიღონ აღნიშნული სტანდარტის პირველადი ვარიანტი 2009 წლის 31 დეკემბრით ან შემდგომ დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. პირველადი ფასს 9 წარმოადგენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების ახალ მოთხოვნებს. კერძოდ, შემდგომში შეფასების მიზნით, ყველა ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. კაპიტალის ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის სავაჭროდ ფლობილი, უპირობოდ უნდა იქნას შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის გავლით. ჯგუფი ამჟამად აფასებს, თუ რა გავლენა ექნება ახალი სტანდარტის მიღებას და განიხილავს პირველადი მიღების თარიღს.

4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადება მმართველობას სთხოვს ისეთი შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას იქონიებს ბალანსის შედგენის დღეს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო თანხებზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ შემოსავალსა და ხარჯზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც ვითარებისამებრ ითვლება დანაკარგის ვარაუდისა თუ გარემოებების დროს. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის.

სესხების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფის მიერ რეგულარულად ხდება სესხების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. ჯგუფი ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს რათა აღიაროს სესხებისა და მოთხოვნების პორტფოლიოს გაუფასურება. ჯგუფი სესხებისა და მოთხოვნების რეზერვის გაუფასურების სააღრიცხვო შეფასებებს განიხილავს, როგორც განუსაზღვრელობის შეფასების ძირითად წყაროს, ვინაიდან (i) ეს შეფასებები ძალიან მიდრეკილი არის ცვლილებისკენ პერიოდიდან პერიოდად, რადგან დაშვებები ვალდებულებების შეუსრულებლობის მომავალ ნორმაზე, ასევე გაუფასურებულ ხარჯებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული დანაკარგის შეფასება დამოკიდებულია საქმიანობის უკანასკნელ გამოცდილებაზე, და (ii) ჯგუფს მოეთხოვება ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსხვავება ჯგუფის დაანგარიშებულ ზარალსა და რეალურ ზარალს შორის აღრიცხოს რეზერვში, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინოს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფი იყენებს საკუთარ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს გააჩნია ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებელთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ასევე ჯგუფი აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას წარსული შედეგების, მომხმარებლის წინა ქმედებების, იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს გაუარესებისკენ ცვლილება ჯგუფში მსესხებლების გადახდის სტატუსისა, ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფში აქტივების დეფოლტთან. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. ჯგუფი ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხების სათანადო მონაცემების კორექტირებისათვის მიმდინარე მოვლენების ასახვის მიზნით, რომელიც არ არის ასახული ისტორიულ მონაცემებში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ხდება არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის საფუძველზე. ჯგუფისთვის შეუძლებელია წინასწარ განსაზღვროს თუ რა ცვლილებები მოხდება საქართველოში და რა ეფექტი ექნება ასეთ ცვლილებებს მომავალი პერიოდებისათვის ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

(ათასი ლარი)

4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად არსებული აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომლითაც შესაძლოა ინსტრუმენტი გაიყვალოს მსურველ მხარეებს შორის, იძულებითი ან ლიკვიდაციისას გაყიდვის გარდა. თუ ფინანსური ინსტრუმენტისთვის არსებობს კოტირებული საბაზრო ფასი, მაშინ სამართლიანი ღირებულება გამოითვლება საბაზრო ფასზე დაყრდნობით. როდესაც შეფასების პარამეტრები არ არის წარმოდგენილი საბაზრზე ან შეუძლებელია საბაზრო ფასებით მათი განსაზღვრა, სამართლიანი ღირებულება გამოდინარეობს თითოეული პროდუქტის შესაბამის საბაზრო მონაცემების ანალიზსა და ფასწარმოქმნის იმ მოდელებიდან, რომლებიც იყენებენ მატემატიკურ მეთოდოლოგიებს, რომლებიც ფინანსურ თეორიებს ეყრდნობა. ფასწარმოქმნის მოდელი ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების საკონტრაქტო პირობებსა, ასევე შეფასების საბაზრო პარამეტრებს, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი, მერყეობა, გაცვლის კურსები და შემხვედრი მხარის საკრედიტო რეიტინგი. როდესაც შეფასებისთვის საბაზრო მონაცემები არ არსებობს, მმართველობა აკეთებს დაშვებას პარამეტრის საუკეთესო შეფასებაზე, რათა კეთილგონივრულად განსაზღვროს, თუ როგორ ფასს დაადებდა საბაზრო ინსტრუმენტს. ამ დაშვების განსახორციელებლად გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები, რომელიც მოიცავს არსებულ სარწმუნო მონაცემებს, ისტორიულ მონაცემებს და ექსტრაპოლაციურ ტექნიკებს. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის ტრანზაქციის ფასი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინსტრუმენტის შეფასება ხდება არსებულ საბაზრო მონაცემებთან შედარებით. ნებისმიერი სხვაობა ტრანზაქციის ფასსა და შეფასების ტექნიკაზე დაყრდნობით ღირებულებას შორის არ აღიარდება კონსოლიდირებულ საოპერაციო ანგარიშგებაში თავდაპირველი აღირიცხვისას.

შემდგომი მოგებისა თუ ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიქმნება იმ ფაქტორის ცვლილებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ ფასის დასადგენად.

დაზღვევა	234	-
საწვერო გადასახადის ხარჯი	103	-
ქველმოქმედება	20	-
პერსონალის მომზადება და სამუშაოზე აყვანა	6	-
სხვა	1,285	986
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14,822	16,955

(ათასი ლარი)

23. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი, საერთო და ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გაგრძელება)

	2009	2008 (დამატებით წარმოდგენილი)
მიწის და შენობების გაუფასურების ხარჯი	-	6,126
უიმედო სესხების ჩამოწერა	-	2,810
ჯარიმები და საურავები	-	1,197
ბანკის დოკუმენტების წარმოების ხარჯები	-	140
სხვა ხარჯები	615	10,465
სხვა საოპერაციო ხარჯები	615	20,738

24. რისკების მართვა

შესავალი

რისკები ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელია, მაგრამ რისკების მართვა ხორციელდება უწყვეტი იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მონიტორინგის საშუალებით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის მომგებიანად ფუნქციონირებისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საბაზრო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების დამოუკიდებელი კონტროლის პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორცაა გარემოს, ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ცვლილებები. მათი ზედამხედველობა ხორციელდება ჯგუფის სტრატეგიული დავებარების პროცესის საშუალებით.

რისკების მართვის სტრუქტურა

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო; თუმცა რისკების მართვა და ზედამხედველობა ასევე ხორციელდება ჯგუფის დამოუკიდებელი განყოფილებების მიერ.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფში რისკებთან დაკავშირებული მთელი პროცესების მონიტორინგზე.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი სრულად არის პასუხისმგებელი რისკის სტრატეგიის შემუშავებასა და პრინციპების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და ლიმიტების დანერგვაზე. ის პასუხისმგებელია რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

რისკების მართვის დეპარტამენტი

რისკების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია რისკებთან დაკავშირებული პროცედურების დანერგვასა და ფუნქციონირებაზე რისკების კონტროლის პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

რისკების კონტროლის დეპარტამენტი

რისკების კონტროლის დეპარტამენტი პასუხისმგებელია, ზედმხედველობა გაუწიოს ჯგუფის პროცედურების შესაბამისობას რისკების პრინციპებთან, პოლიტიკასა და ლიმიტებთან. თითოეულ ბიზნეს ჯგუფს გააჩნია დეცენტრალიზირებული დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია რისკების დამოუკიდებელ კონტროლზე, მათ შორის ლიმიტების დარღვევის რისკის მართვაზე და ახალი პროდუქციისა თუ ტრანზაქციის რისკების შეფასებაზე. აღნიშნული დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს რისკების სრულყოფილ ახსნას რისკის შეფასებისა და ანაგრიშგების სისტემებში.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

შესავალი (გაგრძელება)

ჯგუფის ხაზინა

ჯგუფის ხაზინა პასუხისმგებელია ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების მართვასა და საერთო ფინანსურ სტრუქტურაზე. ასევე, ხაზინის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ჯგუფის დაფინანსებისა და ლიკვიდურობის რისკის მართვა.

შიდა აუდიტი

ჯგუფში რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად მეთვალყურეობს ჯგუფის შიდა აუდიტი, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადექვატურობასა და ჯგუფის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი უწევს შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და მოახსენებს შედეგებსა და რეკომენდაციებს აუდიტის კომიტეტს.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ჯგუფის რისკების შეფასება ხორციელდება იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც განიხილავს როგორც მოსალოდნელ დანაკარგებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ნორმალურ ვითარებაში, ასევე გაუთვალისწინებულ დანაკარგებს, რომელიც წარმოადგენს უკანასკნელი დამდგარი ზარალის შეფასებას სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. მოდელი იყენებს ალბათობას ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. ჯგუფი აგრეთვე განიხილავს ყველაზე უარესი სცენარის შესაძლო შედეგებს იმის გათვალისწინებით რომ დადგა ისეთი ექსტრემალურ პირობები, რომელთა დადგომა ნაკლებსავარაუდოა.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ჯგუფის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიას და საბაზრო გარემოს ისევე, როგორც რისკის დონეს, რომელიც ჯგუფს სურს მიიღოს, შერჩეულ მრეწველობებზე დამატებითი კონცენტრირებით. გარდა ამისა, ჯგუფი მონიტორინგს უწევს და აფასებს მთლიან სარისკო შესაძლებლობას საერთო რისკთან მიმართებაში რისკის ყველა ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოს ადრეული რისკების ანაღლი, კონტროლი და განსაზღვრა. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის, რისკების კომიტეტისთვის და თითოეული ბიზნეს განყოფილების მმართველისთვის. ანგარიში შეიცავს მთლიან საკრედიტო რისკებს, შეზღუდვების გამონაკლისებს, ლიკვიდურობის კოფიციენტებს და რისკის პროფილის ცვლილებებს. ყოველ თვიურად მზადდება დეტალური ანგარიში რომელიც შეიცავს ინფორმაციას ინდუსტრიის, მომხმარებლის და გეოგრაფიული რისკების შესახებ. უფროსი ხელმძღვანელობა კვარტალურად აფასებს საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შესაბამისობას. დირექტორთა საბჭო რისკის შესახებ დეტალურ ანგარიშს იღებს კვარტალში ერთხელ, რომელიც განკუთვნილია იმისთვის, რომ მიეწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია ჯგუფის რისკების შეფასებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით.

ჯგუფის ყველა დონეზე, სპეციალურად მომზადებული ანგარიშების რისკების შესახებ მზადდება და ვრცელდება, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა ბიზნეს განყოფილებას შეეძლოს ყოვლისმომცველი, სათანადო და განახლებული ინფორმაციის ხილვა.

მმართველთა საბჭოს და ჯგუფის ყველა შესაბამის თანამშრომელს უტარდება ყოველწლიური ბრიფინგი საბაზრო შეზღუდვების, ქონებრივი ინვესტიციებისა და ლიკვიდურობის, ასევე სხვა რისკის განვითარებების გამოყენების შესახებ.

ჯგუფი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფას რათა შეამციროს საკრედიტო რისკი (უფრო დეტალურად იხილეთ ქვემოთ).

რისკის გადაჭარბებული კონცენტრაცია

კონცენტრაციები წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან მსგავს საქმიანობებში, ან საქმიანობებში ერთი და იგივე გეოგრაფიულ რაიონში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რაც განაპირობებს მათ უნარს შეასრულონ საკონტრაქტო ვალდებულებები, რომლებიც მსგავსად იქნება ზემოქმედებული ეკონომიკაში, პოლიტიკაში და სხვა პირობებში ცვლილებებით. კონცენტრაციები მიგვანიშნებს ჯგუფის საქმიანობის შეფარდებით მგრძობელობაზე იმ განვითარებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ მრეწველობაზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

რისკების გადაჭარბებული კონცენტრაციების თავიდან არიდების მიზნით, ჯგუფის პოლიტიკა და პროცედურები შეიცავს სპეციფიკურ მითითებებს დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნებაზე კონცენტრირებასთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკების განსაზღვრული კონცენტრაციები კონტროლდება და იმართება შესაბამისად.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს დანაკარგი, ვინაიდან მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს მათი საკონტრაქტო ვალდებულებების გადახდა. ჯგუფი მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს რისკის მოცულობაზე ისეთი შეზღუდვების დადგენით, რომელიც მისთვის მისაღებია ცალკეულ მოპირისპირე მხარეებთან დაკავშირებით და გეოგრაფიული და სამრეწველო კონცენტრაციებისათვის, და ამგვარ შეზღუდვებთან დაკავშირებული რისკების მონიტორინგით.

ჯგუფმა შეიმუშავა კრედიტის ხარისხის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული იდენტიფიკაცია, მათ შორის გირაოს რეგულარული შემოწმებები. გარიგებაში მონაწილე მხარის შეზღუდვები დგინდება საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის გამოყენებით, რომელიც თითოეულ მონაწილე მხარეს ანიჭებს რისკის რეიტინგს. რისკის რეიტინგი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებებს. კრედიტის ხარისხის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს შესაძლო რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს გამოსასწორებელი ზომები.

მსესხებლის საკრედიტო რისკის ზღვარი განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წელიწადში ორჯერ. მსესხებლის მიერ ზღვრების დარღვევის შემთხვევების თვალყირის დევნება ხდება ახლად გაცემულ სესხებზე. საკრედიტო კომიტეტმა შეიძლება შეიტანოს გარკვეული ცვლილებები ზღვრებში; ეს ქმდება უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

სადაც სავალდებულოა და სესხების უმეტეს ნაწილში, ჯგუფი მოიპოვებს გირაოს და კომპანიის გარანტიებს. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მისი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ამგვარი უზრუნველყოფის მოპოვება შეუძლებელია.

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების რისკები

ჯგუფი მისი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომს გახდის იმ გარანტიებს, რომლითაც შესაძლოა მოთხოვნილი იქნას, რომ ჯგუფმა თავად განახორციელოს გადახდები. ამგვარი გადახდები ამოღებულია მომხმარებლებისაგან აკრედიტაციის პირობების შესაბამისად. ისინი ბანკს მსგავსი სახესხიო რისკების წინაშე აყენებს და ეს მცირდება იგივე საკონტროლო პროცესებითა და მეთოდებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტში საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გამოვლინებას, დერივატივების ჩათვლით. მაქსიმალური გამოვლენა ნაჩვენებია მთლიანობაში, რისკის შემცირების ეფექტის გათვალისწინებამდე ურთიერთ-ჩათვლის გენერალური ხელშეკრულებისა და უზრუნველყოფის ხელშეკრულების საშუალებით.

	<i>შენიშვნები</i>	<i>მთლიანი მაქსიმალური გამოვლენა 2009</i>	<i>მთლიანი მაქსიმალური გამოვლენა 2008 (დამატებით წარმოდგენილი)</i>
ფული და ფულის ექვივალენტები (სალაროს გამოკლებით)	6	54,743	39,508
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	14,423	9,638
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	8	82,752	109,286
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:			
-გასაყიდად ხელმისაწვდომი	9	2,260	7,902
-ვადის ამოწურვამდე შენარჩუნებული		1,995	-
		156,173	166,334
ფინანსური ვალდებულებები და პრიობითი ვალდებულებები	19	753	16,111
მთლიანი საკრედიტო რისკის გამოვლენა		156,926	182,445

როდესაც ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, ზემოთ მოცემული თანხები წარმოადგენენ მიმდინარე საკრედიტო რისკის გამოვლენას, მაგრამ არა რისკის მაქსიმალურ გამოვლენას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას მომავალში მანველებლების შეცვლის შედეგად.

თითოეული კლასის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მაქსიმალური გამოვლენის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის, მითითებები უნდა გაკეთდეს კონკრეტულ შენიშვნებზე. გირაოს ეფექტი და სხვა რისკების შემცირების მეთოდები ნაჩვენებია შენიშვნა 11-ში.

კრედიტის ხარისხიანობა ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით

ფინანსური აქტივების კრედიტის ხარისხი იმართება ჯგუფის შიდა საკრედიტო შეფასებების მეშვეობით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კრედიტის ხარისხს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სესხთან დაკავშირებული აქტივების კლასის მიხედვით, ჯგუფის საკრედიტო შეფასების სისტემაზე დაყრდნობით.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	შენიშვნები	არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული 2009	ვალდებულებული, მაგრამ არა გაუფასურებული 2009	ინდივიდუალურად გაუფასურებული 2009	ჯამი 2009
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	14,423	–	–	14,423
მომხმარებლებზე გაცემული სესხები:	8				
კორპორატიული სესხები		6,710	1,150	35,543	43,403
სამომხმარებლო სესხები		9,669	2,989	5,854	18,512
იპოთეკური სესხები		561	–	–	561
მიკრო-სესხები		14,140	1,776	682	16,598
საპენსიო სესხები		28,178	–	290	28,468
		59,258	5,915	42,369	107,542
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები					
გასაყიდად არსებული ვადის ამოწურვამდე	9	351	–	5,319	5,670
		1,995	–	–	1,995
		2,346	–	5,319	7,665
ჯამი		76,027	5,915	47,688	129,630

	შენიშვნები	არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული 2008 (დამატებითი წარმოდგენილი)	ვალდებულებული, მაგრამ არა გაუფასურებული 2008 (დამატებითი წარმოდგენილი)	ინდივიდუალურად გაუფასურებული 2008 (დამატებითი წარმოდგენილი)	ჯამი 2008 (დამატებითი წარმოდგენილი)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	9,638	–	10,499	20,137
მომხმარებლებზე გაცემული სესხები:	8				
კორპორატიული სესხები		3,336	949	40,792	45,077
სამომხმარებლო სესხები		41,478	2,690	11,205	55,373
იპოთეკური სესხები		39	–	–	39
მიკრო-სესხები		29,492	227	–	29,719
საპენსიო სესხები		4,345	154	–	4,499
		78,690	4,020	51,997	134,707
სასესხო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები					
გასაყიდად არსებული	9	1,022	–	7,644	8,666
		1,022	–	7,644	8,666
ჯამი		89,350	4,020	71,312	163,510

მომხმარებლების მიერ გადაგადაცილებული სესხები შეიცავს ისეთ სესხებს, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე დღით არის გადაცილებული. გადაგადაცილებული სესხების ანალიზი, ხანგრძლივობის მიხედვით, მოცემულია ქვემოთ. გადაგადაცილებული სესხების უმეტესი ნაწილი გაუფასურებულად არ ითვლება.

ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს ზუსტი და შესაფერისი რისკის შეფასებების ქონას საკრედიტო პორტფელის ფარგლებში. ეს აადვილებს შესაბამისი რისკების კონცენტრირებულად მართვას და საკრედიტო რისკების შედარებას ბიზნესის ყველა მიმართულებაში, გეოგრაფიულ რეგიონებსა და პროდუქციის ყველა ხაზზე. შეფასების სისტემა ხელშეწყობილია სხვადასხვა ფინანსური ანალიზით, დამუშავებულ საბაზრო ინფორმაციასთან ერთად, რომელიც იძლევა მეორე მხარის რისკის შეფასებისთვის საჭირო მონაცემებს. ყველა შიდა რისკის შეფასება მორგებულია სხვადასხვა კატეგორიაზე და ნაწარმოებია ჯგუფის შეფასების პოლიტიკის შესაბამისად. დამახასიათებელი რისკის შეფასებები ფასდება და ახლდება რეგულარულად.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ანალიზი ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით:

	შენიშ- ვნები	30 დღეზე ნაკლები 2009	31-დან 60 დღემდე 2009	61-დან 90 დღემდე 2009	90 დღეზე მეტი 2009	ჯამი 2009
მომხმარებლებზე გაცემული სესხები:	8					
კორპორატიული სესხები		346	7	30	767	1,150
სამომხმარებლო სესხები		1,622	596	547	224	2,989
მიკრო-სესხები		816	197	296	467	1,776
საპენსიო სესხები		-	-	-	-	-
ჯამი		2,784	800	873	1,458	5,915

	შენიშ- ვნები	30 დღეზე ნაკლები 2008 (დამატებით წარმოდგენილი)	31-დან 60 დღემდე 2008 (დამატებით წარმოდგენილი)	61-დან 90 დღემდე 2008 (დამატებით წარმოდგენილი)	90 დღეზე მეტი 2008 (დამატებით წარმოდგენილი)	ჯამი 2008
მომხმარებლებზე გაცემული სესხები:	8					
კორპორატიული სესხები		90	211	0	648	949
სამომხმარებლო სესხები		415	361	438	1,476	2,690
მიკრო-სესხები		45	16	13	153	227
საპენსიო სესხები		4	3	54	93	154
ჯამი		554	591	505	2,370	4,020

იხილეთ შენიშვნა 8 უფრო დეტალური ინფორმაციისათვის მომხმარებლების მიმართ სესხების გაუფასურების ხარაღის რეზერვთან დაკავშირებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლის პირობებიც შეთანხმებულია განმეორებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს შეთანხმებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას, კლასის მიხედვით:

	2009	2008 (დამატებით წარმოდგენილი)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები:		
კომერციული სესხები	17,701	3,901
სამომხმარებლო სესხები	2,027	-
იპოთეკა	26	-
მიკრო-სესხები	1,546	-
საპენსიო სესხები	-	-
ჯამი	21,300	3,901

გაუფასურების შეფასება

ძირითადი რაც სესხის გაუფასურების შეფასებისას უნდა იყოს გათვალისწინებული არის ის, ძირითადი თანხის თუ პროცენტის დაფარვა თუ არის ვადაგადაცილებული 90 დღეზე მეტით ან ცნობილია თუ არა რაიმე სირთულეები საპირისპირო მხარის ფულადი სახსრების მოძრაობაში, საკრედიტო შეფასების დაქვეითებასთან, ან კონტრაქტის თავდაპირველი პირობების დარღვევასთან დაკავშირებით. ჯგუფი გაუფასურების შეფასებას განიხილავს ორ სფეროდ: ცალკე შეფასებული რეზერვები და კოლექტიურად შეფასებული რეზერვები.

ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები

ჯგუფი ინდივიდუალურად განსაზღვრავს თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხის შესაბამის რეზერვს. რეზერვის მოცულობის განსაზღვრისას განხილული პუნქტები შეიცავს მხარის ბიზნეს გეგმის სიმყარეს, მის უნარს გააუმჯობესოს საქმიანობა მას შემდეგ, რაც წარმოიქმნება ფინანსური სირთულე, დაგეგმილ შემოსავლებს და სავარაუდო დივიდენდების გადახდას თუ ადგილი ექნება გაკოტრებას, სხვა ფინანსური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას და გირაოს გასაყიდ ღირებულებას, ასევე ფულადის სახსრების სავარაუდო

(ათასი ლარი)

მოძრაობის დაგეგმვას. გაუფასურების დანაკარგი ფასდება ყოველი ანგარიშგების დღეს, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები არ მოითხოვს უფრო ძლიერ ყურადღებას.

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები

ფასდება კოლექტიურად იმ მომხმარებლების მიმართ გაცემულ სესხებთან დაკავშირებულ დანაკარგზე, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არიან (მათ შორის საკრედიტო ბარათები, იპოთეკა და არა-უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების გაცემა), და ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისათვის, როდესაც ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არ არსებობს. რეზერვები ფასდება ყოველი ანგარიშგების დღეს, და თითოეული პორტფელი ცალკე განიხილება.

კოლექტიური შეფასება მხედველობაში იღებს გაუფასურებას, რომელიც სავარაუდოდ არსებობს პორტფელში მაშინაც კი, როცა ჯერ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურ შეფასებაში. გაუფასურების დანაკარგი ფასდება შემდეგი ინფორმაციის გათვალისწინებით: ისტორიული ზარალი პორტფელში, მიმდინარე ეკონომიკური პირობები, შეფერხება ზარალის სავარაუდო განხორციელების დროსა და იმ დროს შორის, როდესაც მას დასჭირდება ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვი, ასევე სავარაუდო შემოსავლები და ანაზღაურებები გაუფასურების შემდეგ. ადგლობრივი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ პერიოდის ხანგრძლივობის დადგენაზე, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს ერთ წლამდე. გაუფასურების რეზერვი შემდეგ განიხილება საკრედიტო მმართველების მიერ, რათა უზრუნველყონ ჯგუფის საერთო პოლიტიკასთან შესაბამისობა.

ფინანსური გარანტიები და აკრედიტივები ფასდება და განესაზღვრებათ რეზერვი ისევე, როგორც სესხებთან მიმართებაში.

ჯგუფის ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2009				2008 (დამატებით წარმოდგენილი)			
	საქართველო	OECD	დსთ და სხვა უცხოური ბანკები	ჯამი	საქართველო	OECD	დსთ და სხვა უცხოური ბანკები	ჯამი
აქტივები:								
ფული და ფულის ექვივალენტები	79,425	16,794	2,599	98,818	34,144	11,985	5,031	51,160
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	13,356	1,067	-	14,423	9,080	558	-	9,638
მომხმარებლებზე გასაცემი სესხები	82,752	-	-	82,752	109,286	-	-	109,286
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:								
- გასაყიდი	1,941	319	-	2,260	7,761	141	-	7,902
- ვადის ამოწურვამდე შენარჩუნებული	1,995	-	-	1,995	-	-	-	-
ყველა სხვა აქტივი	117,651	3,141	-	120,792	137,963	3,106	-	141,069
	297,120	21,321	2,599	321,040	298,234	15,790	5,031	319,055
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	54,007	599	-	54,606	51,557	30,604	-	82,161
მომხმარებლებისათვის გადასახდელი თანხები	226,587	20,051	-	246,638	181,540	-	-	181,540
ყველა სხვა ვალდებულება და უმცირესობის წილი	10,572	-	-	10,572	40,846	-	-	40,846
	291,166	20,650	-	311,816	273,943	30,604	-	304,547
წმინდა აქტივები / (ვალდებულებები)	5,954	671	2,599	9,224	24,291	(14,814)	5,031	14,508

ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი წარმოდგენს რისკს იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შეასრულოს მისი ვალდებულებები დროულად, როდესაც დადგება მათი გადახდის ვადა, როგორც ჩვეულებრივ და დაძაბულ გარემოში. ამ რისკის შემცირების მიზნით, ხელმძღვანელობამ მოიპოვა დაფინანსების დივერსიფიცირებული რესურსები მის ძირითად სადეპოზიტო ბაზასთან ერთად, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით, და ყოველდღიურად უწევს მონიტორინგს ფულადი სახსრების მომავალ მოძრაობას და ლიკვიდურობას. ეს ითვალისწინებს ფულადი

(ათასი ლარი)

სახსრების მოსალოდნელი მოძრაობის შეფასებას და მაღალი ხარისხის გირაოს ხელმისაწვდომობას, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისათვის.

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსური მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი ინარჩუნებს მაღალ გაყიდვადი და მრავალფეროვანი აქტივების პორტფელს, რომელიც ადვილად შეიძლება ლიკვიდრებული იქნას ფულადი სახსრების გაუთვალისწინებელი მოძრაობის შემთხვევაში. გარდა ამისა, ჯგუფი ინარჩუნებს ფულადი სახსრების დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ), რომლის მოცულობაც დამოკიდებულია მოზიდული სამომხმარებლო ფონდების დონეზე.

ლიკვიდურობის პოზიცია შეფასებულია და იმართება ბანკის მიერ დამოუკიდებლად, სებ-ის მიერ დადგენილი ლიკვიდურობის გარკვეული კოეფიციენტების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი, საკონტრაქტო ვადის ამოწურვის მიხედვით

წინამდებარე ცხრილებში წარმოდგენილია ჯგუფის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებების ვადის ამოწურვის ანალიზი, რომელიც ეფუძნება საკონტრაქტო დაუდისკონტირებელ გადასახდელ ვალდებულებებს დაფარვები, რომლებიც დამოკიდებულია კლიენტის მოთხოვნაზე, ჩათვლილია მიმდინარე დაფარვებში. თუმცა, ჯგუფი მიიჩნევს, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა არ მოითხოვს ვადაზე ადრე დაფარვას და, ამდენად, ცხრილი არ მოიცავს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადს, რომლებიც მითითებულია ბანკის დეპოზიტების შენარჩუნების ისტორიაში.

ფინანსური ვალდებულებები	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემთ	ჯამი
2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	10,551	31,898	25,132	–	67,581
მომხმარებლებისათვის გადასახდელი თანხები	167,086	58,847	30,953	150	257,036
სხვა ფინანსური ვალდებულებები	13	399	149	–	561
ჯამური არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	177,650	91,114	56,234	150	325,178

ფინანსური ვალდებულებები	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემთ	ჯამი
2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (დამატებით წარმოდგენილი)					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	39,951	32,585	–	12,773	85,309
მომხმარებლებისათვის გადასახდელი თანხები	146,891	52,960	40,186	172	240,209
სხვა ფინანსური ვალდებულებები	21,747	333	333	–	22,413
ჯამური არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	208,589	85,878	40,519	12,945	347,931

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას ჯგუფის ფინანსური ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების ვადის ამოწურვის მიხედვით. თითოეული გამოყენებული სესხის გაცემის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ უახლოესი თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება. დადებული ფინანსური საგარანტიო კონტრაქტების შემთხვევაში, გარანტიის მაქსიმალური თანხა ნაწილდება იმ უაღრეს პერიოდზე, როდესაც შესაძლებელი იქნება გარანტიის გამოთხოვნა.

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემთ	ჯამი
2009	4,125	4,994	11,816	2,399	23,334
2008	11,333	6,375	12,936	706	31,350

ჯგუფის ვარაუდით შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

ვადის ამოწურვის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია ისტორიულად განხორციელდა უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვიდრე ზემოაღწერილ ცხრილებში. ეს ნაშთები გათვალისწინებულია გადასახდელ თანხებში სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი სახსრების სამომავლო მოძრაობა, ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და აქციების ფასები. ჯგუფი ახორციელებს საბაზრო რისკის კლასიფიცირებას სავაჭრო ან არა-სავაჭრო პორტფელებად. სავაჭრო და არა-სავაჭრო პორტფელების პოზიციები იმართება და მოწმდება სხვა ანალიზების გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში კონცენტრაციის გარდა, ჯგუფს არ აქვს საბაზრო რისკის არავითარი მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებს გავლენა ექნებათ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი სახსრების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი უცვლელია.

მოგება-ზარალის უწყისის მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის დასაშვები ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანიძლზე, რომელიც ეფუძნება 31 დეკემბრითვის არსებულ ცვლადი განაკვეთის არა-სავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს. კაპიტალის მგრძობელობა გამოითვლება 31 დეკემბრითვის არსებული ფიქსირებულ განაკვეთიანი გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გადაფასებით, საპროცენტო განაკვეთებში სავარაუდო ცვლილებების შედეგების დასადგენად, იმაზე დაყრდნობით, რომ შემოსავლების მრუდზე ადგილი აქვს პარალელურ გადაადგილებას.

<i>გალუჯა</i>	<i>საბაზო პუნქტის ზრდა 2009</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2009</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა 2009</i>
აშშ დოლარი	1%	(6)	-

<i>გალუჯა</i>	<i>საბაზო პუნქტის კლება 2008</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2009</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა 2009</i>
აშშ დოლარი	-1%	6	-

<i>გალუჯა</i>	<i>საბაზო პუნქტის ზრდა 2008</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2008</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა 2008</i>
აშშ დოლარი	1%	(8)	-

<i>გალუჯა</i>	<i>საბაზო პუნქტის კლება 2008</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2008</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა 2008</i>
აშშ დოლარი	-1%	8	-

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოურ სავალუტო კურსებში ცვლილებების შედეგად. მმართველმა საბჭომ სავალუტო პოზიციებზე დაადგინა ლიმიტები სებ-ის დებულებების შესაბამისად. პოზიციები მოწმდება ყოველდღიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს ვალუტებს, რომელთა მიმართაც ჯგუფს ჰქონდა მნიშვნელოვანი რისკი 31 დეკემბრის მდომარეობით მის სავაჭრო ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე და ასევე მისი პროგნოზირებულ ფულადი სახსრების მოძრაობაზე. ანალიზის საფუძველზე გამოთვლილია ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის შესაძლო მოძრაობის ეფექტს მოგება-ზარალის უწყისში (კურსის მიმართ მგრძობეობა არა-სავაჭრო ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო), როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი უცვლელია. კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება მოგება-ზარალის უწყისზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი თანხები ასახავს მოგება-ზარალის უწყისში ან კაპიტალში პოტენციურ წმინდა შემცირებას მაშინ, როდესაც დადებითი თანხები ასახავს წმინდა სავარაუდო ზრდას.

<i>გალუჯა</i>	<i>ცვლილება საპროცენტო განაკვეთში %-ში 2009</i>	<i>გავლენა მოგებაზე გადასახადის დაჭვითვაძლე 2009</i>	<i>ცვლილება საპროცენტო განაკვეთში %-ში 2008</i>	<i>გავლენა მოგებაზე გადასახადის დაჭვითვაძლე 2008</i>
აშშ დოლარი	1.30%	29	9.20%	21
ევრო	12.70%	(15)	14.90%	8
ინგლისური ფუნტი	16.10%	3	24.90%	20
რუსული რუბლი	0.30%	1	0.30%	-
უკრაინული გრივნა	0.30%	-	2.80%	-

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწეობრიდან გამოსვლის, მექანიკური შეცდომის, სიცრუის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი შედეგები, ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი სავარაუდოდ ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა საკონტროლო სტრუქტურის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და რეაგირებით, ჯგუფი შეძლებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი ითვალისწინებს მოვალეობების ეფექტურ განაწილებას, ხელმისაწვდომობის ნებაართვას, უფლებამოსილების მინიჭებისა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები

ჯგუფი იყენებს შემდეგ იერარქიას, რათა შეფასების მეთოდით განსაზღვროს და განმარტოს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება:

- დონე პირველი: აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე და ვალდებულებებზე კოტირებული (შეუსწორებელი) ღირებულება;
- დონე მეორე: მეთოდოლოგია რომლითაც შესაძლოა ყველა ის მონაცემის, პირდაპირ ან არაპირდაპირ დანახვა, რომელთაც მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე;
- დონე მესამე: მეთოდოლოგიები რომლებიც იყენებენ მონაცემებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, და არ წარმოადგენენ არსებულ საბაზრო მონაცემებს.

მოცემული ცხრილი ასახავს სამართლიანი ღირებულებებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების იერარქიული დონეების მიხედვით:

2009 წლის 31 დეკემბერი

	<i>დონე პირველი</i>	<i>დონე მეორე</i>	<i>დონე მესამე</i>	<i>ჯამი</i>
ფინანსური აქტივები				
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - გასაყიდად არსებული	-	2,260	-	2,260
	-	2,260	-	2,260

2008 წლის 31 დეკემბერი (ღამატებით წარმოდგენილი)

	<i>დონე პირველი</i>	<i>დონე მეორე</i>	<i>დონე მესამე</i>	<i>ჯამი</i>
ფინანსური აქტივები				
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - გასაყიდად არსებული	-	7,902	-	7,902
	-	7,902	-	7,902

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

ქვემოთ მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრის აღწერა. შემდეგი მოიცავს ჯგუფის იმ დაშვებების შეფასებას, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გააკეთებდნენ ინსტრუმენტის შეფასების დროს.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - გასაყიდად არსებული

გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შეფასება ხდება შეფასების სისტემით ან საფასო მოდელით, ძირითადად შედგება არაკოტირებული კაპიტალის და სასესხო ფასიანი ქაღალდებისაგან. ეს ფასიანი ქაღალდები შეიძლება შეფასდეს მეთოდით რომელიც ზოგჯერ შეიცავს მონაცემებს, რომლებიც არსებობს ბაზარზე, ხოლო სხვა დროს შეიძლება გამოყენებული იყოს საბაზრო ან არასაბაზრო მონაცემები. მოდელში შემავალი არასაბაზრო მონაცემები, შეიცავს დაშვებებს კომპანიის, რომელშიც ხდება ინვესტიცია, სამომავლო ფინანსური საქმიანობის, მისი რისკის სტრუქტურის შესახებ და ეკონომიკურ დაშვებებს იმ ინდუსტრისა და გეოგრაფიული იურისდიქციის გათვალისწინებით, სადაც მოდელს ეფუძნება კომპანია, რომელშიც ხდება ინვესტიცია.

(ათასი ლარი)

25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რომლებიც არ აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში გაწერილია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კლასების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	საბალანსო ღირებულება 2009	სამართლიანი ღირებულება 2009	აუღიარებელი მოგება(ზარალი) 2009	საბალანსო ღირებულება 2008 (დამატებითი წარმოდგენილი)	სამართლიანი ღირებულება 2008 (დამატებითი წარმოდგენილი)	აუღიარებელი მოგება(ზარალი) 2008 (დამატებითი წარმოდგენილი)
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	98,818	98,818	-	51,160	51,160	-
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14,423	14,423	-	9,638	9,638	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	82,752	82,693	(59)	109,286	109,286	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:						
შენარჩუნებული დაფარვის ვადამდე	1,995	1,995	-	-	-	-
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	54,606	54,606	-	82,161	82,161	-
ვალდებულებები შეანაბრეთა წინაშე	246,638	246,638	-	181,570	181,570	-
სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება			(59)			-

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე ანაბრების და შემნახველ ანგარიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კონკრეტული ვადები.

ფიქსირებული და ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

კოტირებული სასესხო ინსტრუმენტებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასით. არაკოტირებული სასესხო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომთავალი ფულადი სახსრების მოძრაობის დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის, მქონე სხვა სესხზე უკვე არსებული განაკვეთით.

26. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ანალიზს, იმის მიხედვით, თუ როდის უნდა იქნას მათი ანაზღაურება ან ანგარიშსწორება.

(ათასი ლარი)

26. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

	2009			2008 (დამატებით წარმოდგენილი)		
	ერთი წლის განმავლობაში	ორ წელზე მეტი	ჯამი	ერთი წლის განმავლობაში	ორ წელზე მეტი	ჯამი
ფულა და ფულის ექვივალენტები	98,818	–	98,818	51,160	–	51,160
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	13,356	1,067	14,423	5,909	3,729	9,638
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	69,872	12,880	82,752	101,714	7,572	109,286
- გასაყიდად არსებული ვადის ამოწურვამდე შენარჩუნებული	–	2,260	2,260	–	7,902	7,902
ჯამი	184,041	16,207	200,248	158,783	19,203	177,986
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მომხმარებლებისათვის გადასახდელი თანხები	39,210	15,396	54,606	52,207	29,954	82,161
სხვა ვალდებულებები	220,279	26,359	246,638	125,281	56,259	181,540
ჯამი	259,826	41,875	301,701	177,810	86,439	264,249
წმინდა	(75,785)	(25,668)	(101,453)	(19,027)	(67,236)	(86,263)

იხილეთ შენიშვნა 24 “რისკების მართვა” ჯგუფის საკონტრაქტო არადისკონტირებული საგადახდო ვალდებულებებზე და ხელმძღვანელობის განხილვები ლიკვიდურობის რისკის მართვის და უარყოფითი ლიკვიდურობის აღმოფხვრის შესახებ.

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს 24-ის (“დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები”) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა, გააკონტროლოს მეორე მხარე ან იქონიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეორე მხარეზე ფინანსური თუ საოპერაციო გადაწყვეტილების მიღების დროს. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვის დროს, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება განახორციელონ ისეთი ტრანზაქციები რომლებიც დაუშვებელია არა დაკავშირებული მხარისთვის, ამავდროულად ის პირობები და თანხები რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაკავშირებული მხარის შემთხვევაში, განსხვავდებოდეს იმ პირობების და თანხებისგან რომლებიც იქნება არა დაკავშირებული მხარისთვის.

წლის ბოლოსთვის, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული ტრანზაქციების ბალანსი, და შესაბამისი ხარჯები და შემოსავლები შემდეგნაირია:

	2009				2008 (დამატებით წარმოდგენილი)			
	კომპანიები რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ჯგუფზე	კომპანიები	მოკავშირე საწარმოები (OSMP)	ზედა რგოლის მენეჯმენტი, პერსონალი	კომპანიები რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ჯგუფზე	კომპანიები	მოკავშირე საწარმოები (OSMP)	ზედა რგოლის მენეჯმენტი, პერსონალი
გადაუხდელი სესხები 1 იანვარს, ბრუტო	1,780	–	357	302	2,583	–	120	323
წლის განმავლობაში გამოშვებული სესხები	215	–	5	206	1,951	–	1,002	1,067
სასესხო გადახდები წლის განმავლობაში	1,995	–	362	269	2,754	–	765	1,088
გადაუხდელი სესხები 31 დეკემბერს, ბრუტო	–	–	–	239	1,780	–	357	302
მინუს: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრისათვის	–	–	–	5	1,780	–	7	104
გადაუხდელი სესხები 31 დეკემბერს, წმინდა	–	–	–	234	–	–	350	198

(ათასი ლარი)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

	2009					2008 (დამატებით წარმოდგენილი)				
	კომპანიები რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ჯგუფზე		კომპანიები	მოკავშირე საწარმოები (OSMP)	ზედა რგოლის მენეჯმენტი, პერსონალი	კომპანიები რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ჯგუფზე		კომპანიები	მოკავშირე საწარმოები (OSMP)	ზედა რგოლის მენეჯმენტი, პერსონალი
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლი	საერთო კონტროლი	საწარმოები (OSMP)	პერსონალი	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლი	საწარმოები (OSMP)	პერსონალი	
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	6	-	-	4	26	716	-	-	31	34
სესხის გაუფასურების ხარჯი	-	-	-	(7)	1	1,729	-	-	5	98
დეპოზიტები 1 იანვრისათვის	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
წლის მანძილზე მიღებული დეპოზიტები	-	-	-	-	-	145	-	-	-	3,833
წლის მანძილზე გადახდილი დეპოზიტები	-	-	-	-	-	145	-	-	-	3,833
დეპოზიტები 31 დეკემბრისათვის	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
მიმდინარე ანგარიშები 31 დეკემბრისათვის	790	19,912	-	119	272	81	-	-	6,095	4
საპროცენტო ხარჯი დეპოზიტებზე	212	169	-	-	5	1	-	-	-	49
გაცემული ვალდებულებები და გარანტიები	-	2,529	-	600	-	-	-	-	-	-
შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებელიდან	-	21	-	14	-	2	-	-	10	2
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	-	86	2	-	-	-	56	4

მთავარი მმართველი პერსონალის ანაზღაურება შემდეგნაირია:

	2008 (დამატებით წარმოდგენილი)	
	2009	2008
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი	400	1,427
სულ ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია	400	1,427

28. კაპიტალის ადეკვატურობა

ჯგუფი ინარჩუნებს აქტიურად მართვად კაპიტალის ბაზას, რათა დაფაროს ბიზნესისათვის დამახასიათებელი რისკები. ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობა, სხვა საშუალებებთან ერთად, მოწმდება სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების, ასევე ბაზელ ცაპიტალ ეკორდი 1998 მიერ დადგენილი კოეფიციენტებით.

2009 წლის 19 სექტემბრამდე ჯგუფი ვერ ასრულებდა სებ-ის მიერ დაწესებულ, კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მაგრამ 2009 წლის 19 სექტემბერს ჯგუფმა მიიღო განმათავისუფლებელი წერილი სებ-ისგან, რომლითაც იგი ათავისუფლებდა ბანკს კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნებისგან 2012 წლამდე. წერილის მიხედვით, არსებულ საზედამხედველო კაპიტალი უნდა განიხილებოდეს 108,000 ლარით გაზრდილი. აღნიშნული თანხა უნდა ჩაითვალოს პირველად კაპიტალად და უნდა შევიდეს სებ-ის მარეგულირებელი კოეფიციენტის გამოანგარიშებაში. საქართველოს ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოსთან შეთანხმებით, და ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მარეგულირებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, 6 თვიანი პერიოდის ბოლოს ჯგუფის შექმნიდან ახალმა აქციონერებმა ვალდებულება აიღეს შეეტანათ 10 მილიონი დოლარის ექვივალენტი ლარში, ჯგუფის საწესდებო კაპიტალში. 2009 წლის ოქტომბერში შეტანილი თანხები განთავსდა ბანკის ანგარიშზე როგორც დეპოზიტები, ხოლო 2010 წლის თებერვალში ეს თანხები აღიარებული იქნა, როგორც სააქციო კაპიტალის ზრდა, რაც აღწერილია 29 შენიშვნაში – მოვლენები ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

ჯგუფის კაპიტალის მართვის უმთავრესი მიზნებია იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფმა შეასრულოს ყველა მისი გარეგან დაკისრებული კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნა და რომ ჯგუფმა შეინარჩუნოს ძლიერი საკრედიტო რეიტინგები და კაპიტალის ჯანსაღი კოეფიციენტები, რათა ხელი შეუწყოს მის საქმიანობას და გაზარდოს აქციების ღირებულება.

(ათასი ლარი)

28. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

ჯგუფი მისი კაპიტალის სტრუქტურას მართავს და შეაქვს ცვლილებები ეკონომიკურ პირობების ცვლილებებისა და მისი საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების შესაბამისად. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა კორექტირება მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების მოცულობაში, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გამოუშვას კაპიტალის ფასიანი ქაღალდები.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სებ-ი ბანკებისაგან ითხოვს კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტის შენარჩუნებას რისკის შეწონილი აქტივების 12%-ით, რომელიც გამოითვლება ბანკის განცალკევებული საგანგებო ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, რომელიც მომზადებულია სებ-ის დებულებებისა და განცხადებების მიხედვით. 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო შემდეგი:

	2009	2008 (დამატებით წარმოდგენილი)
ძირითადი კაპიტალი	(6,001)	30,181
თეორიული დანამატი კაპიტალზე (პირველადი კაპიტალი) მიღებული განთავისუფლების შედეგად, რაც აღწერილია ზემოთ ტექსტში.	108,000	-
დამატებითი კაპიტალი	(5,814)	(45,629)
მინუს: დაქვითვები კაპიტალიდან	(5,569)	(3,415)
მთლიანი კაპიტალი	90,616	(18,863)
რისკის-შეწონილი კაპიტალი	241,967	317,935
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	37.45%	(5.93%)

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, ბაზელ კაპიტალ აკორდ 1988-ის მიხედვით

ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც დაანგარიშებულია ბაზელ კაპიტალ აკორდ 1988-ის მიხედვით, შესაბამისი ცვლილებებით, რომელიც მოიცავს საბაზრო რისკებს, 2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგი სახის არის:

	2009	2008 (დამატებით წარმოდგენილი)
კლასი 1 კაპიტალი	(13,788)	(21,190)
კლასი 2 კაპიტალი	25,966	39,330
მინუს: დაქვითვები კაპიტალიდან	(347)	(355)
მთლიანი კაპიტალი	11,831	17,785
რისკით შეწონილი აქტივები	216,214	275,218
კლასი 1 კაპიტალის კოეფიციენტი	(6.38%)	(7.70%)
მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტი	5.47%	6.46%

29. მოვლენები ანგარიშგების თარიღის შემდგომ

2010 წლის 4 თებერვალს ბანკის აქციონერებმა შეიტანეს 10,000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი ლარში, ბანკის სააქციო კაპიტალში.

2010 წლის 18 მაისს ბანკმა დაფარა გრძელვადიანი ვალდებულებების ნაწილი, 30,000 ლარის მოცულობით, რომელიც მას გააჩნდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ 45,000 ლარის ოდენობით. ამავდროულად ბანკმა შეინარჩუნა 3 წლიანი 45,000 ლარიანი საკრედიტო ხაზი, წლიურ 13%-ში 2013 წლის ივლისამდე.

2010 წლის 5 ივლისს ბანკმა ნეუ-იორკის მელონ ბანკთან ერთად გლობალური დეპოზიტარული ხელწერილის (გდს) პროგრამა აამოქმედა. გდს-ს სახით სს "ლიბერთი ბანკის" აქციების შეთავაზება მოხდება საერთაშორისო ინვესტორებზე (აშშ-ის გარდა).